I N7

№ 1

პარასკევი, 1 იანვარი 1899 წ.

1877—1899

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

# ივერია

ტფილისი საჯარო ბიბლიოთეკა

№ 1

პარასკევი, 1 იანვარი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მე 4 თხებზე—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ამ ნომერში 8 გვერდია.

შემდეგი ნომერი დღესასწაულისა გამო გამოვა სამშაბათს, 5 იანვარს.

## „ივერია“

გამოვა 1899 წელსაც

**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტფილისი,

„ივერიის“ რედაქცია,

ნიკოლოოზის ქუჩა, 21.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარიას

სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა და

ქუთაისში, ხიდდეკელის წიგნის მაღაზიაში, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ქალანთაროვის ქარვასლის პირ-და-პირ.

ტელეფონი № 227.

საფოსტო ადრესი:

**ТИФЛИСЪ**. Редакція „ИВЕРІА“.

**შეღავათი წლიურ ხელის-მომწერთათვის**: ვინც გაზეთს ამ თავითვე თელის წლით დაიბარებს, იმას შეუძლიან წლის ხელ-მოსაწერი ფული ნაწილ-ნაწილად შემოიტანოს ამგვარად: ხელის-მოწერის დროს 3 მან., პირველ მარტს—2 მან., პირველ მაისს—3 მან. და პირველ სექტემბერს—2 მან. სოფლის მასწავლებელთ გაზეთი წელიწადში 8 მან. დაუთმობათ, ნახევარის წლით 4 მან.

3-ს იანვარს გარდახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის **დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკის**

### ილია ლაზარეს ძის სერებრიაკოვის

სულის მოსახსენებლად დიდუბის ღვთის მშობლის ეკკლესიაში.

წირვა დაიწყება დილის 10 ს საათზედ, ხოლო პანაშვიდი $11^1/_2$ საათზედ. (2—200—2)

ახალ-წელიწად დღეს დარბაზად სიარულის ნაცვლად ფულად წარმოგზავნეს „ივერიის“ რედაქციაში.

**მკურნალ მიხ. ალექ. მემ და ანასტ. განსტ. ასულმა გედევანიშვილებმა** 3 მან. მცხეთის სვეტი-ცხოვლის ტაძრის განსაახლებელ თანხის გასამდიდრებლად.

**თეოფილე გვენცაძემ ქიურდამირიდგან** საერო მუზეის სასარგებლოდ 3 მან.

ტფილისი, 31 დეკემბერი

ჩვენ გვესმის და ადვილად გამოსაცნობიც არის რისთვის გვიხარიან იესო ქრისტესშობის დღე, გვესმის ეს დიდი დღე რისთვის არის დიდი, რისთვის არის ყოველ წლივ სიხარულით და მილოცვით მისაგებებელი, რისთვის არის სადღესასწაულო დიდისა და პატარისათვის. ამ დღეს დაიბადა სიკვდილითა სიკვდილის დამთრგუნველი და ცხოვრების მომნიჭებელი მაცხოვარი ქვეყნისა, ღმერთი ყოვლად მოწყალებისა და ყოვლად მხსნელის სიყვარულისა, ღმერთი ნუგეშის მცემელი უძლურისა და ძლიერისა, დავრდომილთა აღმადგენელი, სნეულთა მაურვებელი, ცოდვილთა შემწყნარებელი, მაშვრალთა და ტვირთ-მძიმეთა მეოხ პატრონი და მწყალობელი. მან აღამაღლა ღირსება და პატივი ადამიანისა იქამდე, სადამდინაც მისდა მოსვლამდე ვერ მიმწვდარ იყო ადამიანის შეშინებული გონება და გაუღვიძებელი გრძნობა „ვით მამა ზეცის იყავ შენც სრულიო“, უბოძვრა კაცს და ამით გვამცნო, რომ კაცი შემძლებელ არის აღსვლად ღვთაების სისრულემდე. რაოდენი დიდებაა და პატივი კაცის ბუნებისა ამ ექვსს სიტყვაში, ღვთისა ბაგეთაგან წარმოთქმულში!.. ილვაწე და ღვთის სისრულემდე შენც შეგიძლიან ახვიდე და მიახწიოო. ესოდენი განდიდება და აღმატება ადამიანის ღირსებისა ჯერ მინამდე არა ადამიანს არ გაეგონა და საკვირველია განა, რომ ყოველ ამის შემდეგ ყოველ წლივ იესო ქრისტეს შობის დღეს დიდებით ვადიდებთ, ერთმანეთს სიხარულით ვულოცავთ, ვმხიარულობთ და თვითვეულის გული მოწყალებისათვის და მადლისათვის სძგერს.

ხოლო არ გვესმის რა მიზეზით ამისთანავე, თუ არ მეტის, სიხარულით ვეგებებით ხოლმე პირველ დღეს ახალის წლისას. აი ესეც ახალი წელიწადი და არ ვიცით რა მოგილოცოთ: წასვლა ძველისა, თუ მოსვლა ახლისა. ან ერთში რა ყრია, ან მეორეში, ვერ გამოგვიცვნია. წასვლა ძველისა თავისს თავად ბევრი არაფერი სასიხარულოა. პირ-იქით, სანაღვლელი უფროა. ჯერ იმიტომ-რომ, კარგი იყო თუ ავი, მაინც შეჩვეული ჭირი იყო და შეჩვეული ჭირი ხომ ზოგჯერ ქართველისათვის შეუჩვეველ ლხინსა სჯობია. მეორე იმიტომ-რომ, ძველი წელიწადი წავიდა და სასიცოცხლოდ მოთვლილ დღეთაგან თვითვეულს ჩვენგანს მოაკლდა მთელი სამას სამოცდახუთი დღე და სამას სამოცდახუთის დღით ახლო მიუვედით იმ აუცილებელს სადგურს, საცა შესვლაა და გამოსვლაკი აღარა. ნუ თუ ეს მისალოცველია და სასიხარულო!.. ხუმრობაა, მთელი სამასსამოცდახუთი თორმეტ-საათიანი დღე და მთელი სამას სამოცდახუთი თორმეტ-საათიანივე ღამე!.. წავიდა და დაილუპა ეს ამოდენა დღე და ღამე, ეს ამოდენა დრო და ჟამი იქ, საცა სიცოცხლე უამისოდაც წუთია. დროთა ბრუნვამ რომ ეს ამოდენა ლალა წაართვა ჩვენს სიცოცხლესა, სამაგიეროდ რა ნუგეში მოგვცა, რა გვათესინა, რა მოგვამკევინა, რა დაგვამუნათა? რომ გვეთქმოდეს ბევრი არაფერიო, ცოტა მაინც საგულვებელი გვექნებოდა. საქმე ის არის, რომ სულ არაფერი მოუცია და ეს რა ნუგეშია. მიდიან დღენი, მიდიან წელნი და ჩვენ ისევ ისე პირდაღებულნი ვართ, ისევ ისე ხელცარიელნი, როგორც ვყოფილვართ და ვიძახით: სად წავიდეთ, ვის შევჩივლოთ, ვის ვუთხრათ, ვინ განგვიღებს დახშულ კარსა ბედისას?..

ბედის კარის გაღებას ვინ სჩივის. ეს ის ძეხვია ჩვენთვის, რომელსაც მშიერი კატა ვერ შესწვდა და თავი იმითი ინუგეშა, რომ პარასკებიაო. ჩვენთვის ისიც დიდი ბედნიერება იქნებოდა, რომ უბედურობის კარის დახურვას და შიგნიდამ ჩაკეტას მაინც ვღირსებოდით. ეს რომ მაინც ეწყალობებინა ძველს წელიწადს, კიდევ ღმერთს მადლობას ვეტყოდით და არ დავინანებდით ამისათვის იმ ძვირფას საფასურის გაცემას, რომელსაც დღენი სიცოცხლისანი ჰქვიან და რომელიც მით უფრო ძნელი გასამეტებელია, რომ ჩვენდა დაუკითხავად მიდის და აღარ ბრუნდება უკან. სხვა ყველა გაცემული ისევ ხელ-ახლად მოიხვეჭება და სიცოცხლის წარსულნი დღენი-კი აღარა. ვაი ფუჭად განვლილს სამას სამოცდა ხუთს დღე და ღამეს! ჩვენს სიცოცხლეს ეს ამოდენა ხანი მოაკლდა და ერთის ბეწვის ოდენიც-კი არა შეგვიმატნია-რა. უნდა ვტიროდეთ და არ გვიხაროდეს-კი, რომ ესე უგემურად, ურგებად დღენი ჩვენნი დავლიეთ. აქ სინანულს უფრო მეტი ადგილი აქვს, ვიდრე სიხარულს, გლოვას და სამძიმარს, ვიდრე მხიარულებასა და მილოც-მოლოცვას.

სინანულიც კაი საქმეა, კაი საქონელია, თუ მართლა საგონებელში რაშიმე ჩაგვაგდო და ნამუსი და სინიდისი თავისის უტყუარის სასწორით ხელში კარზე მოგვაყენა ჩვენდა განსაკითხავად. განკითხვა თავისის თავისა ბევრს მიზეზს დაგვანახვებდა ჩვენის უბედურობისას და ქარისაგან მოტანილს სიხარულს ძველის წასვლისას და ახალის მოსვლისას ქარსვე გაატანდა, მაგრამ სად არის. სინანულისა და განკიცხვისათვის აღარც გული გვაქვს გულის ადგილას და აღარც ჭკუა ჭკუის ადგილას და ვიძახით წარამარად „დრონი მეფობენო“ მაშინ, როდესაც დრო მხოლოდ იგი ქვევრია, რომელიც მარტო იმას ამოიძახებს ხოლმე, რასაც თვითონ კაცი ჩასძახებს.

რაღა საკვირველია, რომ ჩვენ, ძველის წელიწადისაგან გულ-გატეხილნი და ასე უნუგეშოდ დარჩენილნი, ახალწელიწადს რაღაც იმედით ვეღაუჭებით, რაღაც სიხარულით შევნატრით. მეტი რა გზაა, წყალ-წაღებული ხავსს ეჭიდებოდაო. ჩვენც ასე მოგვდის. ხოლო საკითხი ეს არის: ეს კარზე მოსული ახალი წელიწადი ჯერ ხომ გაუჭრელი ნესვია და რა საბუთია, რომ შევხარით. ქრისტეს აქეთ სრული ათასრვაასოთხმოცდათვრამეტი წელიწადი გასთენებია ადამიანს საერთოდ და ჩვენ ქართველებს ცალკე და ... რვაას ოთხმოცდათვრამეტჯერ სიხარულით და მილოცვით მივგებებივართ და ამდენჯერვე მოვტყუებულვართ, იმედი და სიხარული გაგვცრუებია და ათას რვაას ოთხმოცდამეცხრამეტე წელიწადისაგან რაღას უნდა მოველოდდეთ ჩვენ, ქართველები მაინც.

მართალია, დღევანდელის დღით გამწარებული კაცი ხვალის იმედზეა ხოლმე, მაგრამ ესეც კი უნდა ვიცოდეთ, რომ ხვალე შვილია დღევანდელის დღისა და დღევანდელი დღე შვილია გუშინდლისა. რაკი ესეა, მაშ დედა ვუნახოთ, მამა ვუნახოთ და შვილი ისე გამოვნახოთ, ქართულის ანდაზისამებრ, და მაშინ დავინახავთ,—რა წითელი კოჭი უნდა ბძანდებოდეს ჩვენთვის ეს ახლად შობილი ახალი წელიწადი, რომლის მზე და მთვარე, ნათელი და ბნელი პირველ შეხედვით თვალად არა სჩანს. აბა ერთი გვიბძანეთ,—რა მოვუხანით, რა მოვუთესეთ, რომ რა მოგვამკევინოს.

„ყოველი მზგავსი მზგავსსა ჰშობსო“, ნათქვამია და უხეირო, უსაქმურ წელიწადისაგან ნაშობი რა ხეირს მოგვიტანს. განა ამისთანა წელიწადი ერთი და ორია!.. ეს რამდენი დრო და ჟამია, რაც ჩვენ ვიძახით: „წახდნენ ყოველნი ჩვენთვისა, რაიც გვქონდა ქონებანიო“. ვინ არის ამისი მიზეზი? არავინ, ჩვენის მეტი და იმის მაგიერ, რომ ყოველმა ახალმა წელიწადმა ჩვენს თავზე მიგვახედოს, დაგვიჟინია „შემოვდგით ფეხი და გწყალობდეს ღმერთიო“ და გვგონია, რომ, რა-კი ესა ვთქვით, ციდამ მანანა ჩამოვა და პირში ჩაგვივარდება. ის-კი აღარ გვახსოვს, რომ ღმერთი მარტო გამრჯელს მწყალობელია და უხეიროს, უქმს, უსაქმურს პირს არიდებს. დღენი დღესა სცვლიან, წელიწადნი წელიწადს და ჩვენი თავი კი ისევ ისე წყალს მიაქვს, ანდაზისა არ იყოს, ურია წყალს მიჰქონდა და გზაც ის იყოვო. გაურჯელს კაცს წყალი წაიღებს, მაშ რა მოუვა. ამას დიდი ლარი და ხაზი არ უნდა.

„ღმერთმა ტკბილად დაგაბეროსო“, ერთმანეთისათვის ვნატრულობთ ხოლმე, როცა-კი ახალი წელიწადი კარს დაგვირაკუნებს. რა დიდად სანატრელი რამ არის ეს დაბერება. დაბერებიდამ ერთი ფეხის გადადგმა-ღაა სიკვდილამდე და რაკი ამაზე მიდგება საქმე, მაშინ ყოველისფერი მწარეა. ან თვითონ სიბერე თავის თავად მწარეზე უმწარესი არ არის განა? თუ ესეა, აბა ეხლა სთარგმნეთ რას ნიშნავს ტკბილად დაბერება? აშკარაა, ტკბილად დამწარებას და ნუ-თუ ამაზე უკეთესი სანატრელი აღარა გაგვაჩნია-რა, ამაზე უკეთესი სანატრელი ვეღარა გვიპოვია-რა. ნატვრის უნარიც-კი დაგვკარგვია, მოდი და წყალი ნუ წაგიღებს ამისთანას. სხვა რა გზაა?

სხვა გზა ის არის, რომ ერთმანეთს ერთმანეთით გული გავუგულადოთ და ამისათვის ღონე ღონეს გადავაბათ, მხარი მხარს მივცეთ, ერთმანეთის სიყვარული ვამოციქულოთ და ამ წინდებულს ახალს წელიწადს იმას ვაქმნევინებთ, რაც ჩვენ გვინდა და არა იმას, რაც მასსა ჰსურს. ვიმხნევოთ ერთად ერთის გულით, ერთის სულით, ერთმანეთის ნდობით. ვინც მხნეა, ის ძლიერია. მაშ „მხნე იყავ და გაძლიერდი“!.. აი ჩვენი საახალწლო მოლოცვა, ჩვენი საახალწლო ნატვრა.

## მთავრობის განკარგულებანი

დანიშნულ იქმნა თავადი ვაჩნაძე სტავროპოლის გუბ. ნოვოგრიგორიევის მაზრის მე-3 ნაწილის გამამძიებლის თანამდებობის აღმასრულებლად.

დამტკიცებულ იქმნა გუბერნსკის სეკრეტრის ხარისხში ქუთაისის ოლქის სასამართლოს სამოსამართლო თანამდებობის უმცროსი კანდიტატი ჟვანი.

* * *

სავსე ფიალით, გულის ტრფიალით,
მომილოცნია ახალი წელი!
მტკიცე იმედით და სასოებით
გავუდგეთ გზასა,—მომეცი ხელი!

თესლი კეთილი ვთესოთ დ ვთესოთ,
ვიშრომოთ როგორც უკეთესია, [კოთ,
თუ გინდ რომ კიდეც იგი ვერ მოვმკრაც ოფლის ღვრითა დაგვითესია.

ვინ იცის, იქნებ ჩვენსა ნათესსა
სანთელა, ღვარძლი გამოერიოს...
რა ვუყოთ, ჩვენ ხომ წმინდა დავთესეთ,
მყოობადმა ის დაე გამარგლოს.

აწ-კი ფიალით, გულის ტრფიალით,
მსურს შენთან ერთად მეც მოვილხინო:

ვინატროთ, რომ ეს ჩვენი ცხოვრება სდუღდეს ვით ამა ჭიქაში ღვინო!...

ი. ბაქრაძე

## საწყენი თვალი

(პატარა ამბავი)

— დედილო, დედილო! შემოირბინა ხტუნვით ბოსლიდგან დარბაზში თერთმეტ-თორმეტის წლის ვაჟიშვილმა ქიტესამ და ახარა დედასა, რომელიც დარბაზის ერთს კუთხეში თორნეში ფიჩხს უკიდებდა: ისეთი კარგი გამოვიდა ი ჩვენი ფარნა-ტახი, რიარო! სწორედ ერთს ტაშზე სუქს, გაშალა თავისი ტაში და თვალებთან მიუტანა დედასა; დედა-კი აგრე რიგად ყურადღებას არ აქცევდა შვილის სიხარულსა ფარნა-ტახის სიავკარგის შესახებ, წვრილ-წვრილად ამტვრევდა ფიჩხის წვერებს და ჰყრიდა თორნეში.

— შენ შეირბინე ბოსელში და უთხარი მამაშენსა, რომ კვარი დამიწვრილმანოს და შემომირბევინე, თორნე მალე გავახურო, თუ გინდა კაი ბეღის პური გამოგიცხო.

— შენი ჭირიმე, დედილო, ერთი კაი სახრეც გამომიცხე... დედა, დედა! შოლოტიც გამომიცხე, შოლტიცა!.. მოტრიალდა ბავშვი და ცქრიალ-ცქრიალით გავარდა, ხელად შემოურბევინა დედას დაჩინჩხვარებული კვარი და თითონ-კი ისევ ბოსელში გამოვარდა, რომ ეყურებინა ღორის გამოწვლისათვის.

— ჰეიდა ჰა!! ძაან არ გასუქებულა ე დინგ-ძალლი... სესია, შინაურია, თუ იყიდე? ჰკითხა მეზობელმა ნინიკამ, რომელიც სესიას ღორის გაფუფქვასა ჰშველოდა.

— შენ-კი გაცოცხლა ღმერთმა! საყიდელი ფული სადა მაქვს, შინაურია, აგერ წლი-ნახევრისა გახდა; შემჭამა, კაცო, შემჭამა; სწორედ ორი კოდი სიმინდის ფქვილი შევაჭამე.

— სიმინდის ცომით გასუქებულს ტკბილი ხორცი აქვს, ნათლი! რა საამრამიანე თავია-და!...

— არის-და მიყუროს გარიჟრაჟზედ, როგორ დავათალო ი ყურები!

— გაირბინე, ქიტიავ, და ორი შამფური შემოიტანე, ერთი მწვადები შევაშიშხინოთ.

— დედა პურს აცხობს და არ მომცემს...

— მაშ, ნინიკა, ე მა ფიჩხის კონებიდამ, აი დერეფნის პირად რო ალაგია, მუხის ღერები გამოიღე და გათალე... ცხელ-ცხელ მწვადს ერთი ხელადა ღვინოც დავაყოლოთ და... კაცო, მე ამ ღორის კეთებამ დამღალა, თუ მუცელს პატარა ბოძი არ მიუდგით, არ ივარგებს.

მასპინძელი და სტუმარი მიუსხდნენ გაღადღადებულს ბუხარს, შეაშიშხინეს ღორის ჯიგარის მწვადები, მოიდგეს ერთი ხელადა ლალისფერი ღვინისა და კარგად ლაზათიანად შენაყრდნენ.

— ნინიკა, ე მარცხენა თვალი რაღაცა საწყენს მეუბნევა; აი შეხე, შეხე, წარბთან რა ნაირ მითამაშებს...

— ვინც როგორ დასცდის, უთხრა ნინიკამ.

— ნწ...არა! მე უთუოდ მეწყინება რამ, როცა ე ტიელა დამიწყებს თამაშობასა... ბიჭები ტყეში არიან და გული იმათქენ გამიქანდა...

— ე შე დალოცვილო, დღეს მთელი სოფელი სულ ტყეშია გაქრებილი საახალწლო შეშის მოსატანად და რაღა შენ ბიჭებს მოუვათ მარცხი.

— ერთი ტაქანი მეც დამისხით ე ღვინო რა, წამოიძახა ქიტესამ, რომელიც მამას მუხლის ძირს ამოჰკროდა და გულიანად სჭამდა.

— ოჰ სიკვდილსაც დავიწყებიხარ, შვილო, სიკვდილსა! და მიაწოდა.

— შენი ძმა ილარიონა სადღა არი? ჰკითხა ნინიკამ.

— ღმერთმა ნუ იცის ბოროტი კაცის თავი... ჩვენ რო საქმე მოგვივიდა, სწორედ საარაკოა, ჰო ზიარების მადლმა და ემის ზედაშე არ დამეკვეთოს სიკვდილის ჟამსა: კაცო, რაღაც ორი დღის ტალახი ნადელი მიწა გვქონდა, ადრევვე, ხელ მოკლეობის დროს, მინამ ძმა და უფროსი ბიჭები წამომესწრობოდნენ, ვალში გამეყიდა; ეხლა მე თითონ ვყიდულობ, მაგრამ მაშინ-კი ასე მამივიდა; ვეუბნევი ი ოჯახ დაქცეულს ისაკასა, დამიბრუნე ჩემი მამული და ერთი ორად გადამახდევინე-მეთქი. ახლა, კაცო, ნადელი კანონის ძალითა ჩემზე ირიცხება, ბატონს თავი მეოთხედი მიაქვს, რას ინაღვლის, და მამული კი სხვასა აქვს. ახლა აგერ ორი დღეა, ილარიონა პოსლედნიკთან წავიდა ამის თაობაზე, და არ ვიცი რა ამბავს მოიტანს...

— ჰეი! რამდენი კანონებია და!.. არა, ეგ რაღა კანონია, რო მამული სხვასა ჰქონდეს და ხარჯს-კი შენ იხდიდე! სალმასტერი გახდა ე ხალხი. ჰეი! რა არ მოიგონეს ამ რუსებმა და!

— ნწ! მე ე საწყენი თვალი არ მასვენებს... აბა ერთი, ნინიკო, ამაწიე ე ვარცლი და დარბაზში გამატანინე; ამას იქ ასო-ასო დავჭრი და ასეთ ლორს გაჭმევ, თუ მშვიდობით დავესწარით, რო სულ პირში გადნებოდეს.

ის იყო მართალ, სესიას ცოლს, თორნიდგან წინა პური ამოეყარა, როცა სესიამ და ნინიკამ დარბაზს კარი შეაღეს.

— ღმერთმა ბარაქა ნუ გამოგილიოთ, ნათლი-დედა, უთხრა ნინიკამ.

— ღმერთმა გაცოცხლოს, შვილო, და დედი-შენის გული გაახაროს შენზედა... აბა, შვილო ნინიკო, თბილი პური გატეხე, მისთავზა მართამ.

— ბევრი გიახელით, შენი ჭირიმე; ასეთი მწვადები გიახელით, რო...

— აიღე, ქა! თბილი პური თვალის წყალიაო, რაც უნდა მაძღარი იყოს კაცი, მაინც მოუნდებაო... აიღე, გატეხე, სისხლი ხომ არ გამოედინება... თუ არ გინდა, თან წაიღე, ბებერ დედა-შენს უცხო პური იამება. მართამ პურს წვერი წაატეხა და წაიღუღუნა: „აქა ბარაქა!" და გადასცა ნინიკას.

ამ დროს შემოვარდა თოვლში გაგუნგლული ქიტესა ძ მიეჭრა ცეცხლთან გასათბობად.

— სად იყავ, ბიჭო, ამისთანა ზამთარში, ჰა! შინ დაეგდო, ის არ გირჩევნიან, ხელს წამახმარ მაინც რამეშია, უთხრა საყვედურის კილოთი დედამ.

— ბიჭები ვცივაობდით, დედა! ისე გავხადეთ პატიანთ გვერდა, რო სუ სლიკინით გარბის ციგა... ისე-კი იბარდნება ე თოვლი, რო... მარხილები მოდიან ტყიდგან და თოვლში აღარა ჩანან...

— ღმერთო, ღვთის მშობელო დედაო, შენ მოიყვანე მშვიდობით ჩემი შვილები, სთქვა სასოებით მართამ, ნეტა ქარი არ ამოუვარდეთ შენის სიკეთითა და!..

— მერე, მართა, ე ოხერი საწყენი თვალი ამტეხია მთელი დღე და ლამის ბუდიდამ ამომივარდეს...

დაღამდა; თოვლმა იკლო ბარდნა; ზენა ქარმა შემოჰკრა და ფიფქი თოვლი ფქვილივით აანიავა ჰაერში; თვალთა წინა აღარა-სჩანსა-რა; აქა-იქ ისმის დაგვიანებულის მეხრის ხმაურობა: მოუძღვის შეშით დატვირთულს მარხილს, მოარღვევს მუხლით თოვლს და უადვილებს სავალ გზას თავისს მარჩენალ ხარებსა. სესია არჩვაძეს გულზედ ვარმად შემოაწვა ეს კორიანტელი; მართამ წმინდა სანთელი აანთო და ავედრებდა ღვთის მშობელსა თავისის შვილებისა და მაზლის მშვიდობით დაბრუნებასა. სესია წამდაუწუმ გამოაჭრიალებდა დარბაზის დევერხანა კარებსა, გავიდოდა დერეფნით გარეთ, გახედ-გამოხედავდა, მაგრამ თავისები არსად სჩანდნენ და გულდაწყვეტილი შეაჭრიალებდა კვლავ იმავე კარებებსა. მისმა ცოლმა მართამ გააჩაღა შუაცეცხლი; საკიდელზედ ქვაბი ჩამოჰკიდა და ღორის ხორცი ჩაჰყარა მოსახარშად.

— შეცივნულები და მშივრები მოვლენ ი დედა-მკვდარები ტყიდამა!.. თავის დღეში ამ დღეს კარში არ უნდა გაისტუმროს საქმისათვის ადამიანი; რა ვიცი, ეშმაკს თვალთ არ უჩანს.

— ქიტიავ, ქიტიავ! დაუძახა მამამ; სადა ხარ; ი დალალული ხარებისათვის ბაგაში ბზე მოამზადე და უგრეხლის რომში.

— მოვამზადე კიდეცა და მოვრჩი კიდეცა. ისე გამოვაძღოშ ჩემ ლომასა და ღვინიასა, რომა... ვენაცვალე იმათ ი ვარსკვლავივით თვალებშია.

— ხიოო, ხი, ლომა! შემოისმა გარედამ ხმაურობა და მარხილის ჭრიჭინი.

— ჩუ! გაიხედეთ, გაიხედეთ, ბიჭები მოვიდნენ სწორედ, სთქვა მართამ. სესია და ქიტესა მაშინვე დარბაზის კარებში ეცნენ; ბიჭებს ხარები კიდევაც გამოეშვათ, ბოსელში შაერეკათ და თითონ კარებში შაეფეთნენ მამასა. ორნივ მთლად თოვლში იყვნენ გახვეულნი, ქალამნებზედ და წვივ-საკრავებზედ თოვლის ლოლუები ეკიდათ; აღარ უჩანდათ თავ-პირი, ისე იყვნენ შეგანგლულნი.

— უი, დედა მოგიკვდეთ, შვილებო, დედა! მიელუკლუკა შვილებს მართა; ჩამოჯექით, შვილებო, კერიას პირას და გალხვით, გენაცვალოთ თქვენი დედა! ხან აქედან მოუვლიდა საწყალი მართა შვილებს და ხან იქიდან.

— არა გვცივა, დედა, არა! ისეთი გახურებული ვართ, თითქო პირტი დაგველიოს. ქიტესავ, გასძახეს პატარა ძმასა, ე ხარები პატარა ხანს დაჩულე, არ დასდურალოს..

შემოკრბა სესიას მთელი ჯალაბი დარბაზში და შემოუსხდნენ შუაცეცხლსა; არსად სჩანდა მხოლოდ ილარიონი; სესია ოხრავდა და გმინავდა. შვილებიც შეწუხდნენ იმის დაგვიანების გამო.

— თუ სოფელს შემოასწრო სადმე, არა უშავრა, სთქვა სესიას უფროსმა ვაჟმა ალექსიმ.. აი ეხლა ჩვენცა სოფელს შემოვასწარით თუ არა, გული დაგვიმშვიდდა, ნელ-ნელა წამოვლეთ მარხილი, ჩვენს უკან კიდევ რამდენი მოდიოდა.

მართამ ნეხვით გადაგლესილი გოგროხები მოხსნა და ამოალაგა ჩურჩხელები, ჩამიჩი, ვაშლები, მსხლები, ფშატი და გაამზადა აბრამიანისათვის. მოიტანა სუფთა ცხრილი და ჯერ დადო ღორის თავი, გვერდით მოუდგა ცივი დედალი, მერე დააწყო ყველა ნაირი ხილით, ჩალის ჯამით თაფლ-ღვინოში ლუკმა-ლუკმად ჩაყრილი პური; გარს შემოუწყო ბედის პურები და შუაში ჩასვა ბასილა. ეს ცხრილი დადგა ხონჩაზედ და შედგა კიდობნის თავზედ, გვერდით მოუდგა ერთის თუნგიანის სადვინით ღვინო, სადვინეს მიაკრა ტუჩზედ სანთლები.

— აი სესია, უთხრა თავის კაცსა, დილისთვის საკვლევარი.

— აი ყოჩაღ, დედაკაცო! ძაან ტაბლა გაგიმზადებია; კაი შემოტარება კი უნდა ამ ზამთარში ამ ხონჩას დარბაზის გარშემო...

— ნათლი, ნათლი!... ჩამოიძახა დარბაზის ბანიდგან მეზობლის გოგომ და ჩამოყო თავი ერდოში... დედა-ჩემმა, შენ გენაცვალეო, ჩემი როდინი და როდინის ქვაო თქვენსა და დამომიგზავნეო, ხომ იცი, გარედ დატოვება ამაღამდელ ღამეს არ ვარგაო.

— ადე, გენაცვალოს, დედა, და გაურბევინე, ცოდოა, შვილო. ამ კორიანტელში ნუ მოაცდევინებ. ჩვენი ხომ არა არის-რა ვისთანმე, იკითხა მართამ და დარბაზი ჩამოათვალიერა, თაროებს გადახედა, მაგრამ ვერა მოისაკლისა-რა... ქიტიავ, შვილო, აბა გაირბინე გარეთა, ყური დაუგდე, იქნება გაიგონო რამე! შეიტყე, ვინ რას ჰლაპარაკობს და რას დავცდით... აბა არ დაივიწყო, ყველაფერი კარგად აკრიფე.

პატარა ქიტიამ დაუგდო ყური დერეფნიდგან. ჩამი-ჩუმი არსად იყო, ცნობის მოყვარეობამ არ მოასვენა, კორიანტელს არ მოერიდა და რამდენიმე ნაბიჯი გაირბინა მეზობლებისაკენ. მოესმა რაღაც ჩოჩქოლი, წაიწია კიდევ წინ და ცხადად შემოესმა ქალების წუწუნი, გობეჯაშვილის ქვრივის მაიას გოგოს ტირილი; შემოესმა ხმა:

— საწყალი მაია, ძნელი ავადმყოფია, სული ყელში აქვს, ქა, მობჯენილი. ვეღარ გაათენებს, ისეა შეწუხებული.

— დედამ ღვთისამ დაიფაროს მაგისი ორი წვრილი ობოლი!.. სთქვეს მეზობლებმა.

ქიტესა ქვანაკრავსავით გამობრუნდა, ქაქანით შემოვარდა სახლში და უამბო განაგონი.

გული დაეწვა სესიას მთელს ოჯახსა მაიას მდგომარეობის გამო; საბრალო მაია, ჯერ ისევ ყმაწვილი ქალი, ორის ობლით —ქალ-ვაჟით ქვრივად დარჩა, მაგრამ ორის დღის ტალახი ჰქონდა, ერთი პატარა ვენახი, სახლ-კარი და ბავშვებზედ თავი დასდო და არ გათხოვდა. სცხოვრობდა თავისის ხელითა; შესანიშნავი პურის ცხობა იცოდა, ასე, რომ მთელი სოფლის თავად-აზნაურობა, მღვდელ-დიაკვანი დღესასწაულებში სულ იმას აცხობინებდნენ პურსა. სესიას ოჯახს უფრო იმიტომ დაეწვა გული, რომ მაიას გოგო თინა ამათი მეკვლე იყო, მართა უცხოთაგან მეკვლედ არავის გააჭაჭანებდა სახლში, მინამ თინა არ მოვიდოდა; თინამაც იცოდა ესა და ძალიან ადრიანად შეირბენდა ხოლმე სესიასას. მართას გულმა არ მოუთმინა და გადირბინა მაიასას. მაიას მაზლის ცოლები, რომელნიც იქვე გვერდში იდგნენ, შემოეხვივნენ გარსა; ცხელი აგური დაედოთ მუცელზედ, დიდი ცეცხლი დაეგუზგუზებინათ და ცხვირზედ ძმარს უსვამდნენ. მიზეზი მაიას შეწუხებისა ის იყო თურმე, რომ იმ დღეს ოთხგან გამოეცხო პური, ამდენს თოვლში და ყინვაში ფეხშიშველი და გაზებთან კაბა შეგლეჯილი დადიოდა; უკანასკნელად მღვდლიანთსა გამოეცხო პური, დაღალულს თბილი პური ჩაეყარა ძმარში და გახურებულს გულზედ ბლომად ეჭამა და მაშინვე გულს შემოსჭიდებოდა.

საწყალს თინას გულ-ხელი დაეკრიბა, პურის კიდობანს ასტუზვიყო, ცრემლები თავისთავად ღაპაღუპით სცვიოდა და ცინდლი ცხვირზედ დაჰკიდებოდა. ყველა, დიდი და პატარა, წამალს უკეთებდა საწყალს მაიას, ყველას ებრალებოდა, ყველა სწუხდა.

— რაც ი მოსე დალაქმა ნეკში სისხლი გაართვა, ცოტა მოჯობინდა, სთქვა ერთმა.

— დამაცა ერთი, ჩემი წამალი დავალევინო, ისე გახდება დილამდის, როგორც სარკე, ჰო, ჩემი ნიკო არ მომიკვდეს; მაგისთანები მამირჩენია, სთქვა კვეხნით გალაძიანთ ნინომ და გაშალა რაღაც ბალახის თესლები; მიჩვეთ ერთ ტაფა, ერთი მოვხარშო...

— ღმერთმა გისმინოს, ნინო ღმერთმა! ღვთის-მშობელო, შენ მოჰხედე საბრალო მაიას; ქვრივ-ოხრობის მფარველო ღმერთო, შენ უშველე! სთქვეს მეზობლებმა და გამოემშვიდობნენ მაიას ოჯახს გულ-დაწვეტილი მეზობლები.

მართას მაშინვე მისცვივდნენ სახლში. ამან ცოტა ანუგეშა.

— ღმერთი როგორ აიღებს ხელს ჩვენ უბანზედ და ხვალინდელ დღეს შხამად როგორ ჩაგვიტარებს... შენი მტერი! დაგვეკვებება მწუხარება და მთელი წელიწადი სულ ვაი-უშველებელში უნდა ვიყოთ... ვუი, დამიდგეს თვალები, რა მეკვლე იყო მერე ეგ თინია გოგო, სამი წელიწადია ისე დავცადე მაგისი ფეხი, რომ ერთი ფთა რა არის—ერთი ფთა ფრინველი არ დამკლებია... ახლა ხვალ, ვინ იცის, ვინ შემოეხეტება და რა ფეხს მოგვიტანს...

— მა, მა! ეგა თქვი და ეგ მოიგონე—და! სთქვა დიდის მზრუნველობით სესიამ... არა, სხვა თქვი-და! მოსავალი გინდა, ჯან-სალობა გინდა, წველა-დღვება გინდა—სულ ერთიან გაფუფუნდა ჩემს ოჯახში ი გოგოს მეკვლეობის შემდეგ; სწორეთ ძიელ დაგვაკლდება ი მაიას სიკვდილი. ღმერთმა ნურა აუტეხოს-რა. არა, ხვალინდელ დღეს სიკვდილი!?. რაღაც თავს არ მოდის... ეიიი! ი ოჯახ-დაქცეული, რაზე მისძლომია ი ძმარ-პურსა!?.

გატყდა ღამე; პირველ მამლის ყივილს აღარა აკლია-რა; სესიას სახლში ძილი გაუტყდა. სესიას და მართას. ერთს აზრს მის[illegible]

ქმარნი: მაია ვითომ მოკვდა; ხვალინდელი დღე სულ მოეშხამათ; აღარც მეკვლეა ამათთვის, აღარც მხიარულება; მთელი უბანი დაღონებული დარჩება; სიკვდილს ჯანი გავარდეს; მაიას დამარხვენ, იმისს ობლებს არას გაუჭირვებენ, მაგრამ ეს დღე რომ მოეწამლათ; ეს წელიწადი რომ მთლად შხამად ჩაუვლით,—აი ეს აწუხებთ ცოლ-ქმარსა.

შეწუხებულია მაიაც; მის თვალწინ ცეცხლა-პირას ჭილობის ნაგლეჯზედ წამოგორებულიყო მისი გოგო თინა და ტკბილად ეძინა; იქვე გვერდზედ მიგდებულიყო ნინო, რომელიც ძილ-ღვიძილშია; ბევრი ეცადა, წელ-ქვეით სულ ცხელ-ცხელ ქატოში გაახვია და ძლივს მოჰგვარა ფეხებზედ სითბო. მაიას აწუხებს თვისი ორი შვილის ბედი: სოლო გორშია მოჯამაგირედ გიჟბერაშვილთან.

— იქნება, ჰფიქრობს, მაია, ის დედა-მკვდარი, ისა, ეხლა სიზრმად მხედავს გაჭირვებულსა, მაგრამ ხელი ჩემკენ არ მოუწვდება და ფეხი; ეჰ, მალე დაივიწყებს დედას, თითქმის ვაჟი-კაცია, ის ჩემს დაკლებას აგრე რიგად არ შეიმჩნევს, გული-კი დაეთუთქება, მწარე ცრემლებს დააბნევს, მაგრამ ენაცვალოს დედა, მალე აღარ მამისაკლისებს... ნეტავი აგრე, რომ მალე დამივიწყებდეს და უჩემობამ გულს დაღი არ დაასვას... შენ, შენ, შე საბრალო ჩემო უმანკო თინიავ! შენ ხარ საცოდავი! ვერც მალე დამივიწყებ და ვერც მალე მიეხწევი ბედსა... მღვდლიანთა და მათას ჩაგაბარებ, ჩემო უბედურო გოგო; მათა, სესიას ცოლი, მადლიანი ადამიანია... ნუ გეშინიან, ჩემო თინა, ობლის კვერი ცხვა, გვიან გამოცხვა... ვაი, რო ასე დაგტოვე, შე საბრალო ჩემო უმანკო გოგო!.. ვაი თქვენ დედასა, შვილებო! ეს სიტყვები ისე მაღლა წამოიძახა, რომ ნინო მაშინვე წამოჯდა, მივარდა მაიას და მაჯა დაუჭირა.

— ნიქო არ მოუკვდეს თავის დედა ნინოს, რომ შენ არა გიშავდესრა, ისეთი მაჯა გიცემს, როგორც სალსა...

მამალმა პირველი ფრთა შემოჰკრა და ღონივრად იყივლა. ნინომ და მაიამაც სიამოვნებით ამოიხვნეშეს და წამოიძახეს:

— ღმერთო, შენ კეთილი ჰქმენ და ნუ გაგვიმწარებ ახალს წელსა.

გამოიღვიძა სესიამ და მართამ; ფიქრი გაუქანდათ მაიასაკენ, მაგრამ შინაც არ იყვნენ უნაღვლელად: ილო ჯერ არ დაბრუნებულიყო; არც ცოლსა და არც ქმარს თვალი არ მოუხუჭავთ; ავ გუნებაზედ იყვნენ. სესია თვალის ახელნას ელოდა; პირველმა მამლის ყივილმა ცოტა რაღაც გულს ნუგეში მისცა: ეშმაკი ქვესკნელში ჩაძვრა და ქვეყნად გამეფდა მშვიდობა, სიამოვნება, რომელსაც ციით ანგელოზი გადმოჰფენს ქვეყანასა, ზედ მიჰყვება ბრწყინვალე განთიადი და გულს დარდს ახდის. სესია გამოეწყო ლამაზად; ამასობაში მეორედ შემოჰკრა მამალმა ფრთა და მიაყივლა თავ-გამოდებით. სესიამ აიღო ხონჩა აზრამიანით, გამოაჰრიალა კარი, ძაღლმა წუწუნით დერეფნიდამ სალამი უბოძა; გარედ ჰყინავს, ქარი ცოტად აკორიანტელებს ფიფქს თოვლსა; სესიამ ორჯელ შემოუარა [...] ანთებულის აზრმიანით, ძაღ[...]ნ ახლავს; მესამეზედ... ძაღლმა დაიქურგა ბოსლისაკენ და ვიღაცას მიაყეფა, მაგრამ ჩქარა მუქარა წკმუტუნად გარდაექცა და ვიღაცას ახტებოდა და ჰლოკავდა.

— ბიჭო, რომელი ხარ მანდა?

— მე ვარ, ილო!

— ოჰ, შე ოჯახ-დაქცეულო, რაზედ დაგვხოცე, ბიჭო, შე უღმერთო! თუ გააკეთე რამე მაინცა?

— ვეღარ ვუწიე სახლამდინ და ბრეთში დუქანში გავჩერდი... საქმე ვერა გავაკეთე რა, ტყუილად ვიხეტიალე: მამული თქვენზედ წერია, რაზედ ყიდდით, მე რა ვიციო, კინაღამ კიდევაც გამზურგა, თორემ მოწყალებას ვიღა ჩივის...

— მადლობა ღმერთსა, იქნება ამაზედ გადაიაროს ჩემმა დარდმა და ვარამმა, მოვინელებ, როგორც იქნება.

სესიამ მხიარულად შეულოცა თავისს ოჯახს:

— „შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი, ფეხი ჩემი—კვალი ანგელოზისაო“, სთქვა სესიამ და გაქანდა ცეცხლისაკენ, აიღო იფნის სახრე და შეუქინქლალა; ცეცხლმა ნაპერწკლები გაჰყარა უხვად. სესიამ მიაძახა: ამდენი ქათამი, ამდენი ბატი, იხვი, ინდაური, საქონელი, სიცოცხლე, სიხარული და სხვანი; მერე სათითაოდ დააბერა ყველანი: ასე ტკბილად დამიბერდით, ასე! შვილები წამოცვივდნენ და გავიდნენ ბოსელში საქონლის მისალოცავად.

მეორე მამლიყივილისას მაიასაც მიეძინა; ცივმა ოფლმა გადაჰკრა და მშვიდობიანად დაიწყო ფშვინვა. ნინოს სრული იმედი მიეცა მორჩენისა; ცამ ამოითეთრა. სოფელმა სიამოვნებით გამოიღვიძა; იშვა ახალი წელიწადი; ყველა ხარობს, ყველა იცინის, ყველანი უნატრიან ერთმანეთს თეთრად დაბერებას, ტკბილად ცხოვრებას. მაიამ გაახილა თვალი, ერდოში სინათლე შეამჩნია; ჰგრძნობს კარგად თავს; თინა წამოდგა; დედა შეეხმიანა, თინა ჩაეკონა, ამოუწუწნა ტუჩები, ღაწვები, ძუძუებში ჩაუყო თავი და ცხელი ცრემლები ჩაუბნია გულ-მუცელში.

— ნუ სტირი, ჩემო თინა, მორჩი, კარგად ვარ! წადი იმეკვლევე, ვისაც ეხარებოდეს, ახარე ჩემი სიკეთე.

მართასა და სესიას სახლში ცეცხლა პირას მთელი ჯალაბობა საუზმობს. ვერ არიან რაღაც მხიარულად, თითქო რაღაც აკლიათ. სესია ოხუნჯობს; სტაქანი სტაქანზედ გადაუდის. ილოც არ აკლებს; მაინც მხიარულება აკლია. ამ დროს კარებმა გაიჰრიალა და შემოესმათ ტკბილი და მშვიდი ხმა.

— „შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი, ფეხი ჩემი, კვალი ანგელოზისა, მე ვარ მეკვლე, თქვენი გამხარებელი, სთქვა ეს სიტყვები ბავშმა სამჯერ და გაჩერდა დედა-ბოძთან.

— თინია, თინია!!. შეჰყვირა მთელმა ოჯახმა დიდის ხმით, წამოცვივდნენ და სიხარულით ხელში აიტაცეს.

ს. მგალობლიშვილი

* *
*

მოვდივარ ახალი წელი
ახალის იმედებითა,
თან მომაქვს გრძნობა-სურვილი,
შემკული სათნოებითა.
ვეცდები იყო კეთილი,
გულ-სავსე, არაქიანი,
ვაჟკაცი ალ-მართალი,
პირს მთქმელ, სწორე გზიანი.
მტრობა შური დავამხო,
უძლურს ვაყვრო ძლიერი,
შევმოსო ღამ ლატაკი,
გამოვაბრუნო მშიერი.
ვაკურთხო ლეხის მარჯვენა,
სახნის-საკვეთ-რკინისა,
ქედი ხარ-კამეჩულის,
გული მოსავლ ბინისა.
დავლოცო [...]ი ვაზისა,
მომცემი წითელ ღვინისა,
ხან უკუმყრელ ჭირისა,
ხანაც მომგვრელი ლხინისა.
დავსწყევლო [...]ოთი და შფოთი,
მუქთად მჭამელ პურისა,
ცბიერი, მრუშ ხელ-მრუდე,
სიცოცხლე უღირსისა.
შევამკო მაღლ ოცნებით
გრძნობა პოეტ გულისა;
ერთობას დავაჭინო
გვირგვინი სიყვარულისა.
მოვდივარ ახალი წელი,
მოვდივარ, მომქრია,
თან მომაქვს დროშა სიმართლის,
დროშა სისწორის ფარია!

შ. მღვიმელი

## „დაგეკვებება, დაგეკვებება“!..

(სახალწლო)

— დედი, გოზინაყი არ უნდა გავაკეთოთ?—შეეკითხა პაწია სანდრო მარიამს.

დღეს ეს რამდენჯერ გაუმეორეს მარიამს შვილებმა.

— გავაკეთებთ, გავაკეთებთ, შვილო,—იყო ჩვეულებრივი პასუხი, რაღაც გაუბედავად, სამიხდილად წარმოთქმული.

— როდის-ღა, დედი? შარშან ამ დროს მზათა გვქონდა... პასუხა სანდრომ და სიტყვებს ბავშური მოუთმენლობის კილო ეტყობოდა.

როდემდის ეტყუებინა საცოდავი ბალღები? პატარას გოზინაყის ლოდინში კიდეც ჩაეძინა მის გვერდით. მაგრამ უფროსს ძილი არ ეკარება და, რაც ხანი გადის, თანდათან ახშირებს ამ კითხვას.

ეჰ, რა იცის პაწია გულ-უბრყვილო სანდრომ დედის მდგომარეობა? როგორ მიხვდება მისი გაუცდელი გონება, რომ ყოველი სიტყვა ლახვრად ესობა მშობლის გულს და უშანთავს მთელს სხეულსა. ოჰ, რა კარგი ხარ, უცოდველო უსუსურობავ!..

„გოზინაყი... უბედურნი! ნეტავი თქვენ, რომ არ იცით, რა უკუღმართი აზრები მიტრიალებს ამ გაოგნებულს თავში, რა მწვავე ვრამის კერა ანთია ამ ოხერს გულში!.. ნუ, ნურც გაიგებთ!.. მეც მეყოფა სატანჯველად!.. ღმერთო, შემინდე!..“

და კვლავ აუფორიაქდა მარიამს თავში ის უწმინდური, პირქუში აზრი... მაგრამ არა, არ იქამს! არ უღალატებს დედისა და ქვრივის მოვალეობასა!.. ოჰ, მაცდურო, წამწყმედო ხმავ, მოშორდი, დამეხსენ!..

„როდემდის, როდემდის შე ბედკრულო? დიდ ხან გაგყვება ეგ სიკერპე?“—ესმის მარიამის ყურთ ეს საშინელი სიტყვები, წარმოთქმული ხრინწიანის ხმით, დაჩამჩამებულის პირით...

მარიამს ყურები უწივის, ტვინში თითქოს საწამლავი შ[...]რია და მთლად აუმღვრივა გონების მოძრაობა... ასე ჰგონია, საფეთქელში რაღაცასა სცემენ... თვალებ წინ სივრცე აუთამაშდა, ჰაერი თითქოს თვალისათვის საჩენი გახდა, ნაჭერ ნაჭერად დაიყო, მერე ცეცხლის რგოლებად გარდაიქცა, რომლებმაც არევ-დარევით იწყეს მარიამის წინ სრბოლა... ბოლოს ეს რგოლები შეერთდნენ, ბრწყინვალება დაჰკარგეს და ერთბაშად იმ ბებერ დედაკაცის სახე მიიღეს, რომელიც მარიამის სულის სიფაქიზეს სატანად მოჰვლინებოდა და ცდილობდა მის წაწყმედას. სვავის ნისკარტსავით მოკაუჭებული ცხვირი, რომელიც თითქმის გადაჰბმოდა გრძელსა და წამწვეტებულს ნიკაპს, სიყვითლე მოკიდებული გესლით სავსე თვალები და გუმბათივით შეკრული კუზი,—თითოეული ნაკვთი ამ საზიზღარ დედაკაცისა ცალ-ცალკე თითქოს სიცილს აყრიდა საცოდავ მარიამს და მის გარშემო გამუდმებულ ბზუილსავით გაისმოდა: „როდემდის, როდემდის, შე ბედკრულო? დიდ ხან გაგყვება ეგ სიკერპე? რაზე ჰხოცავ სიმშილით ამ ობლებს?!“

— არა, არა! არ ვიზამ! გამეცალე, ნუ მაცდენ!.. ებრძვის მარიამი ამ იდუმალს ხმასა. ოჰ, იასონ, შე გულ-კვდარო, რაზე ჩამაგდე ამ ცეცხლში?! ამას მიქადდი? ღმერთო, რაზედ წამართვი იმისი თავი ასე უდროვოდ?! რაზე დამისხი კერაზე წყალი! რათ აურიე ჩემ ყმაწვილ-ქალობას გზა?! შესტირის მარიამი უსიტყვოდ ღმერთსა და ჰსურს ამ ღაღადისს ჩაალევინოს მთელი თვისი არსება, რომ ყური აღარ ათხოვოს იმ მაცდურს ხმასა.

მარიამი უფრო მიიკუნჭა ოთახის კუთხეში, მუხლებზედ მკლავები შემოიხვია, თავი ზედ დააყრდნო და დააშტერდა თუნუქის გაციებულ ღუმელს.

ქმრის გახსენებამ წარსულიც მოაგონა, ის წარსული, რომელიც ოდესღაც ტკბილს მომავალს აღუთქვამდა.

სოფლის ლაღ ბუნების შვილი, რომლის კიდეთა შორის ირწეოდა მისი აკვანი, რამდენსამე წლის წინად ცოლად გამოჰყვა ერთ თავიანთ სოფლელს, რომელიც ტფილისში მედურგლეობდა. ხუთი-ექვსის წლის განმავლობაში კარგად მიდიოდა იმათი საქმე; ქმრის დღიური შემოსავალი ჰყოფნიდა იმათს პატარა ოჯახსა, მაგრამ ცხოვრება ხომ მარტის თვესავით ცვალებადია. მოულოდნელად უკუღმა დატრიალდა ამ ოჯახის ბედი; ერთხელ, მუშაობის დროს, იასონი, მარიამის ქმარი, აივანიდგან ჩამოვარდა და სულიც განუტევა. დარჩა მარიამი უგზოუკვლოდ ორის პაწია შვილით—ქალ-ვაჟით. რაც რამ მონაგარი ჰქონდა, გაჭირვებამ თანდათან გააყიდვინა და მიაღწია ამ მდგომარეობამდე. ჰმუშაობდა მარიამი, მაგრამ რა გამოდიოდა იმ მუშაობით, რომელიც, ისეც მწირ შემოსავლიანი, განახევრებულ იყო ბალღების მოვლა-პატრონობით? გუშინ-წინ ერთი აბაზი იშოვა,—ზოგს ხალიჩები დაუბერტყა, ზოგს ოთახები დაუწმინდა; იმ ფულით შვილებს პური და ყველი უყიდა და დანარჩენსა ნავთი გამოართვა, რომ სანთელი არ გამქრალიყო იმათ ისეთაც წარბ-შეკრულს სახლში. დღეს თითონ არაფერი სჭამა, რომ პური და ყველი პატარებისათვის გამოეზოგა... მაგრამ ხვალ?

ახალი წელიწადი თენდება და ცა მოწმენდილზედ არის მისი ბედკრული ოჯახი. ყველაფერი დღეს შემოაკლდა, თითქოს ახალი წელიწადი რომ დგება, ყველაფერი ახალი უნდა შემოსულიყო სახლში.

მარიამი ფიქრმა გაიტაცა წარსულის შესახებ და აფრა აშლილ ოცნების ხელოვანმა მარჯვენამ წარმოუდგინა მას ერთი ახალ-წლის წინა ღამე განვლილის დროისა.

მარიამი ოთახში ფუსფუსებს, გოზინაყსა ჰხარშავს რკინის ქურაზედ. პატარა სანდრო გარს დასტრიალებს სატკბილებლებს; ყურადღებას არ აქცევს დედის გაჯავრებას; ხან აქ გაილოკება, ხან იქ, ხან კიდევ გაჰქანდება აკვნისაკენ, რომელშიაც ხელებ აშლილი მისი და წევს და მძივის ჩანჩხურას ეპოტინება,—მიირბენს დასთან და თაფლით შელესილ თითს ტუჩებში გამოუსვამს; პაწია სახის დაღრეჯით თავს მიიქნევს, არ ეპუშნიკება სანდროს ხელის ხლება, მაგრამ, როცა თაფლი ეტკბილება, ტუჩებს წლაპა-წლუპს აუყენებს.

— ნუ აწვალებ, შე სასიკვდილევ, მაგ ბალღსა!!.. ეუბნება დედა სანდროს, რომელიც სიცილითა და კუნტრუშით აკვნისაგან უკუ იქცევა.

ამ დროს კარები გაიღება, შემოდის იასონ და შემოაქვს...

— დედი, რატო კამფეტკებს არ ვიყიდით?—მოისმა კვლავ ლოგინიდგან სანდროს ხმა—შარშან აკი გვქონდა.

მარიამი შეკრთა, გამოერკვა ოცნებას და არსება მისი იმგვარის ტკივილით გაიმსჭვალა, როგორსაც ჰგრძნობს კაცი, თბილის მყუდრო ოთახიდგან ძალად გამოგდებული მრისხანე სტიქიონის ანაბარად.

— ვიყიდით, შვილო, ვიყიდით... მაშ რა ეთქვა? დაამშვიდა, მაგრამ თითონ-კი ერთი ძალუმად ამოიქვითინა.

— დედი, რა გატირებს?—დაეკითხა სანდრო აკანკალებულის ხმით და ლოგინიდგან წამოიწია.

— არა შვილო, მე არა ვტირი... დაიძინე გენაცვალოს დედა...

— კამფეტკებს არ მომცემ, დედი?..

— მოგ...ცემ შვი...ლო, მოგ...ცემ... უპასუხა სვენებ-სვენებით და ცრემლების ყლაპვით მარიამმა.—შენ ცოტა ჩაიძინე და მე ეხლავე მო...ვალ... მარიამმა ამ სიტყვებს გმინვა ამოაყოლა; თან ადგა, მხრებზედ მოსხმული შალი თავზედ წამოიფარა და კარებისაკენ გასწია. კარებთან რომ მივიდა, გაჩერდა და ერთი ნაღვლიანად გადმოჰხედა ოთახს, რომლის მოღრუბლულ გამომეტყველებას მწუხარე ბანს ეუბნებოდნენ დაძველებული ტახტი, ფეხ-მოტეხილი მაგიდა, კუთხით კედელზედ მიმდგარი და გაციებულ-გათოშილი თუნუქის ღუმელი. ოთახს ბუნდად ანათებდა თუნუქისავე უბრალო ლამფა და ამის გამო ყოველი მოძრაობა ადამიანისა კედელზედ უშველებელ ჩრდილად იხატებოდა.

მარიამი თითქოს ეთხოვებოდა თავის არე-მარეს; კარები გამოაღო, ხელები ცად აღაპყრო და ჩუმად წაიღუღუნა: „ღმერთო, შემინდე!“-ო.

—

მარიამმა გრდასწყვიტა ჩაედინა ის, რასაც ასე ძალუმად გაუფრთხოდა.

საშინელი იყო მისი მდგომარეობა. მაშ რა ექნა? ხელი გაეწვდინა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამოწყალეოდ? და განა იმისს სილამაზეს, ახალგაზრდობას იგივე არ მოელოდდა? მარიამისთანებს მოწყალებას არ აძლევენ და თუ აძლევენ, თან დიდ ვალსაც სდებენ... შრომა გაიტანა ბაზარში, მაგრამ ამაოდ ჩაუარა... და დღეს მას ბედის უკუღმართობამ სხეული გაატანინა იმავე ბაზარში...

მარიამი მიისწრაფოდა იმ ბებრისაკენ, რომელიც ქმრის სიკვდილისათანავე შესდგომოდა ყმაწვილს ქალსა და როგორც სული მაცდური ნეტარს ცხოვრებას აწვეთებდა ყურში. შვილების უზრუნველ-ყოფას, სიმშილისაგან დახსნას...

— ,,შენისთანა თეთრ-ყირმიზა ქალი ამისთანა ,,პალაჟენიაში'' უნდა იყოს? ერთი შენი „საგლასიე“ და ჭრელ-ჭრელ თუმნიანებს ბზესავით დაგაყრიან“-ო.

მარიამი დიდხანს ებრძოდა ამ იუდურს ჩამოძახილს, მაგრამ ვეღარ გაუძლო უთანასწორო ბრძოლას და აი, გაჭირვების ტალღამ გაიტაცა და დამღუპველ მორევისაკენ გააქანა.

მარიამი ყრუ გზას ირჩევდა და როგორც ცოდვილი სული ლანდივით მიიპარებოდა. ეშინოდა არავის დაენახა და იმისს სახეზე არ ამოეკითხა მისი ბოროტი განზრახვა.

ბურუსიანი ღამე იყო; ფარნები ოდნავ ჰბჟუტავდა; შორიდან რომ გაგეხედათ, სინათლე ჰაერში ბრწყინვალე რგოლად გეჩვენებოდათ, გარშემო შარავანდედ შემოჰქდილი, რადგანაც არც ფარნის შუშები და არც ბოძი არა სჩანდა; თოვლი ადგილ ადგილ აუღებელი დარჩენილიყო და დედამიწა აეჭრელებინა; ციოდა, მაგრამ მარიამს სახეზე ალმური ასდიოდა; წინათვე სირცხვილი სწვავდა, გაგონილი ჰქონდა და თითონაც რამდენჯერმე ენახა გზა-არეულ დედაკაცების სამარცხვინო სიქციელი და მისი, ზნეობაში გამოწრთული, არსება ჯოჯოხეთურ ტანჯვასა ჰგრძნობდა, რომ ისიც იმათ კვალს აედევნა...

მაგრამ არა!.. ის ამას არ იკისრებს!.. ის, მართალია, აი შესცდა კიდეც, მხოლოდ სამუდამოდ ამ გზაზედ დადგომისაგან ღმერთი იხსნის!.. მარიამმა თავისი თავი ქურდად მიახნია, რადგანაც მან მოჰპარა სინიდისს რამდენიმე წამი, რომ ქურდობით ობლებს საკვებავი უშოვოს და შემდეგში კი ღმერთი გაუწევს მფარველობას.

ამ ფიქრში იყო გართული მარიამი და ღმერთთან ალთქმასა სდებდა, ეს დანაშაული პირველი და უკანასკნელი იქნებაო, რომ იგი მოულოდნელად ქუჩის მოსახვევში წააწყდა ქალ-ვაჟს, რომელნიც გადახვეულიყვნენ და ერთმანეთს ჰტყლოშნიდნენ.

მარიამმა ელდა ნაკრავსავით ვეღარც წინ წადგა ბიჯი, ვეღარც უკან და თითქოს ქანდაკებად გარდაიქცა.

— ასე ტკბილად დამიბერდი! სთქვა ვაჟმა და გაისმა კვლავ ტუჩების ტკაცუნი.

— გაამოს! — უპასუხა ქალმა — იცოდე ჩემი კოცნა დაგეკვებება. ახალი წელიწადი თენდება და რაც ახლა კაცის თავს გადაჰხდება, მთელი წლის განმავლობაში შუბლზე სულ ის აწერია...

— მეც ეგ მინდა!.. უთხრა სიცილით ვაჟმა და მიეტრფიალეთ მარჯვნივ გაუხვიეს.

მარიამს რომ მეხი დასცემოდა, უარესს თავრეტის დასხმას ვერ იგრძნობდა. აი ის საშინელი გზა, რომელზედაც მან დაუხვია! აი სადამდის მიჰყავს ამ გზასა!

— „დაგეკვებებაო“...

მარიამს სრულის სავსებით გაახსენდა მნიშვნელობა ამ სიტყვისა მთელის იმ სიგძე-სიგანით, იმ რწმენით, რომელიც დაენათლებინა მისთვის სოფელსა და მისს წრეს, სადაც „დაგეკვებება“ და ამისთანები კანონად არის აღიარებული.

— დაგეკვებებაო?! — გაუელვა კვლავ მარიამს თავში!.. და მეც ხომ დამეკვებება?! ამოიკვნესა საბრალომ და ქვითინით თავი სახლის კედელს მიარტყა.

ეს ამონაკვნესი მოედო მიყრუებულ ქუჩასა და სადღაც შორს არემარემ თითქოს პასუხად გასცა: „დაგეკვებება, დაგეკვებება!“.

ილია ელეფთერიძე

---

## „მეც არ ვიცი, შვილო“...

(საახალწლო სურათი)

### I

...ახალმა წელმა მოაღწია, ყველანი დიდ ფაცი-ფუცში არიან, სცდილობენ რაც შეიძლება კარგად და მხიარულად დაჰხვდნენ ბევრჯელ ნანახს სტუმარს...

მართლა-და, თითქო სხვა მზე უნდა ამოვიდესო და სხვამ მთვარემ ამოჰყოს თავიო, — ყველანი ისე ჰნატრულობენ იმისს ნახვას, ყველანი ისე მოუთმენლად მოელიან ხვალინდელს დღეს...

დუქან-ბაზარიც გაჩაღებულია და მუშტარი ბუზივით ირევა... ვინ გინდა, რომ აქ არ არის: მოპრანჭულ მოკაზმულთან ძონძიანსაც დაინახავთ, ზორბა და ტლანქთან სნეულ-კუტსაც მოჰკრავთ თვალს... ერთის სიტყვით, ქალაქის ავლა-დიდება ამოტივტივებულია და აშკარადა სჩანს, ვინც რის პატრონია... ზოგი მუშტარი დარდიმანდულად ახურდავებინებს ათ თუმნიანს, ზოგი-კი უკანასკნელ ერთ-ორ შაურს უკან მისტირის... ზოგს რამდენ ნაირი ნავაჭრი დაუწყია და ელის მუშას, ზოგი-კი... ზოგი-კი ხელში შესცქერის...

### II

სოვდაგარმა მიკიჩამაც იყიდა, რაც საახალწლოდ სასმელ-საჭმელი უნდოდა, ჩაჯდა ეტლში და მოუსო სახლისკენ.

მიკიჩას სახლობა ჰმხიარულობდა: მდიდრულად მორთულს დიდს დარბაზში შობის ხე იდგა და ბავშვები შეჰხაროდნენ და გარშემო ეხვეოდნენ, იქვე ფორტეპიანოს ვიღაც ვაჟი უკრავდა და მიკიჩას ცოლიც ბანს აძლევდა სიმღერით:

ეკალში ვარდი შევნიშნე,
ობლად რომ ამოსულიყო;
გულის ფანცქალით ვკითხავდი:
„შენ ხომ არა ხარ სულიკო!“

### III

დიახ, ყველა ხარობდა, ყველა მხიარულობდა, მხოლოდ, მხოლოდ ქვრივი ოსანა-კი სწუხდა... მართლა და ოსანა ქალი შესაბრალისი იყო: ბევრჯელ მშიერ-მწყურვალი ყოფილა, ბევრი ვაი-ვაგლახი უნახავს, მაგრამ... როგორც დღევანდელს დღეს გაუჭირდა, ისე არასოდეს გასჭირებოდა: ოსანას გაფხეკილს სახლში არც თაფლის სული იდგა, არც გოზინაყი სჩანდა...

იქნება როგორმე გოზინაყიც მოეხერხებინა, თავისს ობლებისთვისაც ხილი ეყიდნა, მაგრამ რა იმისთვის სცხელოდა?! — სახლიპატრონი მიკიჩა სახლიდგან ითხოვდა და ეს საბრალოც ამასა სწუხდა:

— ამ სიცივეში სად წავიდე, ვის მივეკედლოო?!.

მართალია, ოსნას შორეული ნათესავები ჰყავდა, მაგრამ ისინი რას უშველიდნენ? ერთი საწყლები იყვნენ, რო თავიანთ თავის შენახვაც-კი გასჭირებოდათ.

ოსანას რამდენისამე თვის სახლის ქირა არ მიეცა მიკიჩასთვის და არც მიკიჩას ამტყუნებდა, რომ ის თავისას თხოულობდა, მხოლოდ გული იმაზედ უკვდებოდა და ეთუთქებოდა, რომ... სხვები ჰხარობდნენ და იმას-კი სახლიდგან აგდებდნენ... საბრალო ოსანასთან ისე რცხვენოდა და იწურებოდა, რო თავისის ობლებისთვისაც-კი ვერ შეეხედნა, თითქო ჰშიშობდა არ მითხრან: რა დედა ხარ, დედობას ვერ გვიწევო...

— ოსან! ივნიდგან გადმოსძახა მიკიჩამ.

— ბატონო გახარებული გამოვარდა ოსანა, თითქო მოწყალება უნდა მიიღოსო.

— შენ, როგორც ვხედამ, სანამ ქუჩაში ბარგს არ გადაგიყრი, არ გახვალ... მე ბევრის ლაპარაკის თავი არა მაქვს.. მითქვამს და კიდევ გეუბნები: ეგ სახლი პირველ იანვრიდგან სხვას მივაქირავე და...

საბრალო ოსანა გაბრუებულიდა იდგა. . . . . . . . . .

### IV

სწორედ ახალ-წლის დღეა. ქარბუქია და ჰყინავს... ზღვის ტალღასავით რიგი მიდის და მოდის, ყველას თაფლი და შაქარი ამოსდის პირიდგან და ერთმანეთს ულოცავენ...

ოსანა ბარგი ბარხანით აკიდებული გამოვიდა სახლიდგან და წამოვიდა, თან კანკალით თავისი ობოლიც გამოჰყვა...

— სად მივალთ, დედი? ჰკითხა ბავშმა.

— მეც არ ვიცი, შვილო...

. . . . . . . . . .

დუშელი ვანო

---

## „ახალ-წლის ბრალია!“

(უცნაური შემთხვევა)

### I

იაკინთე მკრთალაძე ცოლ-შვილიანი კაცი იყო, უწყინარი, ერთგული თავისის მაიკოსი, „რადგან ქორწინება ცაში ჰხდებაო“, ამბობდა ხოლმე. ოჯახს დაჰკანკალებდა, სამსახურს გულ-მოდგინედ ასრულებდა, მაგარს სასმელს ერთს ალაჯზედ გაურბოდა, ყოვლად ფხიზელი ცხოვრება უყვარდა და თავისს კერას ყველაფერს ამჯობინებდა. „სიყვარული გარყვნილებააო“, იტყოდა ხოლმე იაკინთე და დარწმუნებული იყო, რომ იმისის ცოლის მაიკოს მეტი ქვეყნად სხვა ქალი არა არსებობდა. კიდეც ამიტომ იშვიათი „ცოლის დამჯერე და გამგონე იყო“, როგორც მისი ჩასუქებული თანამეცხედრე იტყოდა ხოლმე. ერთის სიტყვით, ყოველის საქმარო კაცის ღირსებითა და თვისებით იყო სავსე, მხოლოდ... მხოლოდ ერთი ნაკლი ჰქონდა.

ბუნების ყოველ მხრივ შემკო იგი, მარტო მეხსიერების გრძნობა ჩამოერთმევინა, თითქოს იმის ნიშნად, რომ ყოვლად სრული და უნაკლულო ქვეყნად არაფერიაო. ამას გარდა, იაკინთეს მცნობნი ამბობდნენ, რომ არც გამჭრიახე ჭკუა აქვს, დუნდულა კაციაო, მაგრამ ეს სულ სიბოროტით მოსდიოდათ, ჰშურდათ იმისი მშვიდობიანი, წყნარი, მყუდრო და ტკბილი ცხოვრება.

ეს გულ-მავიწყობა-ღა იყო უბედურება: ცოლს იაკინთესათვის წელიწადი — თორმეტი თვე ყოველ დღე რომ სულ ჩურჩით გაკეთებული ბატი ეჭმევინა, მაინც წლის უკანასკნელს დღესაც ვერ გაიხსენებდა, რომ ამ წელიწადს მიჭამია ეს საჭმელიო! სამი შვილი ჰყავდა და არც ერთის სახელი არ ახსოვდა... ერთს დღეს რომ გვარი გეთქვათ ვისიმე, მეორე დღეს, წერაქვითაც რომ თავს დასდგომოდით, ვერ გაამეორებინებდით. ყელსახვევის შემოკვრის დავიწყებისათვის ვინ რას ეტყოდა, ერთხელ იაკინთე თეატრშიაც-კი უსერთუკის-ამხანაგოდ მიბრძანდა და ვიდრე ქვედა თეთრი სამოსელი არ დაანახვეს, ასე ეგონა, საუკეთესოდა ვარ მორთულიო.

საკვირველი თვისება იმისის გულ-მავიწყობისა ის იყო, რომ თითონ არა ჰგრძნობდა ამ ნაკლს და მაშინაც-კი, როდესაც გულ-მავიწყობით შეცდომას სჩადიოდა, ეგონა, სწორედ კარგად მახსოვს, რომ ასე უნდა მოვიქცეო. ერთის სიტყვით, თავისი ნაკლი, როგორც სჩვევია ადამიანის ბუნებას, თითონ დანახული არა ჰქონდა და არა ჰფრთხილობდა ამ ნაკლის წინააღმდეგ... ან მაშინ რაღა გულ მავიწყი იქნებოდა, თავისი გულ-მავიწყობა მაინც რომ ჰხსომებოდა?!..

ახალ-წლის წინა ღამე იყო. საახალწლო სამზადისის გამო ახმაურებული ქალაქი მიჩუმებულ-მიყუდროებულიყო. ყველა ახალ-წლის მისაგებებლად ემზადებოდა. ცა ოდნავ იფერფლებოდა და გამვლელ-გამომვლელს ცივ, გამომაფხიზლებელ ცვარად ეფინებოდა სახესა და ყელ-ყურზე.

იაკინთე გამოეწყო და საგანგებოდ მოირთო. დღეს საღამოს თავისს ამხანაგ კუპატაძესთან იყო დაპატიჟებული და იქ უნდა მიეგებებოდა ახალ წელიწადს. გამოეთხოვა იაკინთე ცოლ-შვილს და სწორედ საღამოს ათი საათი იყო, რომ გზას გაუდგა. იაკინთე კუპატაძის ცოლს არ იცნობდა, მაგრამ იმისი სახლი-კი კარგად იცოდა, რადგან როდესაც სამსახურიდგან ჰბრუნდებოდნენ, იმ სახლს გამოუვლიდნენ ხოლმე, კუპატაძე იმის თვალ-წინ შედიოდა სახლში და ბევრჯელ უჩვენებია კიდეც იაკინთესათვის, — აქა ვცხოვრობო.

იაკინთემ თამამად ჩამოჰკრა ზარს და შეაღო კარები.

— ბატონი შინა ჰბრძანდება? ჰკითხა მოსამსახურეს.

— შინ არ გახლავთ, ჩქარა დაბრუნდება, ქალბატონი შინაა, მობრძანდით.

შევიდა.

იაკინთეს მორთული ქალი მოეგება და მძიმედ ჩამოართვა ხელი. სტუმარმა მიულოცა მომავალი დღესასწაული და დიასახლისი ქმარ-შვილით მოიკითხა.

მცირე ხანს სიჩუმე ჩამოვარდა.

— თქვენი ქმარი სადღა ჰბრძანდება?

— ეს არის ეხლა გავიდაო, უპასუხა ყმაწვილმა ქალმა: მეგობარი ჰყავს დაპატიჟებული და იმასთან წავიდა. ეხლავე დაბრუნდება, დაბრძანდით.

იაკინთე გულ არხეინად ჩამოჯდა. კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა. სტუმარი აქეთ-იქით იხედებოდა და ოთახს ათვალიერებდა. მასპინძელი უცნობს სტუმარსა ჰსინჯავდა.

— ცუდი ტაროსიაო, დაარღვია დუმილი იაკინთემ: ხათრი ვეღარ გავუტეხე თქვენს ქმარს, თორემ სახლიდგან გამოსვლის დრო არ იყო, თოვლი მოდის და ცხვირ-პირს ულესავს ადამიანს!.. და იაკინთემ დასველებულს ულვაშებზედ ხელსახოცი გადაისვა.

— რა უშავს, შაქარი ხომ არა ხართ, რომ დამდნარიყავითო! გაუხუმრა ღიმილით ყმაწვილმა ქალმა.

ცოტ-ცოტა და იაკინთე და მასპინძელი გაერთვნენ ლაპარაკში. იაკინთემ გამოიკითხა, — რამდენი ოთახი გიჭირავთ, ქირას რას აძლევთ, რამდენი მოსამსახურე გყავთო, და სხვანი. უამბეს სტუმარმა და მასპინძელმა ერთმანერთს ყოველი წვრილი თავიანთის ცხოვრებისა, გაიცნეს ერთმანერთი და მოეწონათ კიდეც სტუმარს მასპინძელი და მასპინძელს — სტუმარი. ამ მოწონებას უფრო გულ-ახდილი, სახუმარო მუსაიფი მოჰყვა და...

კედლის საათმა უსიამოვნოდ დაიჟღარუნა და ერთი ჩამოჰკრა. თორმეტის ნახევარი იყო.

— რა ვქნა, რა დაემართა იმ კაცსა... იკითხა ყმაწვილმა ქალმა, მაგრამ ჯერ არ დაეთავებინა სიტყვა, რომ ფეხის ხმაურობა მოესმა, ოთახის კარი შემოაღო მასპინძელმა და იმას ოთხიც სხვა ყმაწვილი კაცი შემოჰყვა.

იაკინთემ წამოიწია და მისაგებებლად მოემზადა. მასპინძელი კარებშივე შედგა და გაოცებითა და ეჭვით დაუწყო ყურება თავისს სახლში თავისს ცოლთან მყოფს ამ უდროო ჟამს უცნობს კაცს. ცოლს ქმრის ასეთის უეცარის დღრეჯის მიზეზი არ ესმოდა, სტუმრებს უკვირდათ აქამომდე მხიარულის მასპინძლის ასე უცბად ფერ-წასვლა და ხმის გაკმენდა. იაკინთე-კი გულ-არხეინად ელოდდა, რომ დიასახლისი ახლად მოსულს სტუმრებს გამაცნობსო.

დიდხანს იდგებოდნენ ყველანი ასე გახევებულნი, დიასახლისსავე რომ არ დაერღვია სიჩუმე:

— რა ვქნა, რა მოგვივიდა, ავად ხომ არა ხარო? ჰკითხა გაოცების ნიშნად გარდაქცეულს ქმარს: მიესალმე მაინც ხალხს. ჩემი ქმარია, ვერ იცანითო! მიუბრუნდა იგი იაკინთეს.

„ქმარიო!“ და იაკინთე ფუტკარნაკბენსავით შეიძრა. საბრალო სული ერთიანად დაიბნა და აღარ ესმოდა, რას ამბობდა და რას სჩადიოდა.

— როგორ თუ ქმარი? მაშ თქვენ... უნდოდა ეკითხა: „მაშ თქვენ კუპატაძეს ცოლი არა ხართო?“, მაგრამ თავისის მეგობრის გვარი დაავიწყდა და უაზროდ დაიწყო ლუღლუღი.

— ,,მაშ თქვენ'' რაო?.. იკითხა მრისხანედ მასპინძელმა და ხელები მუშტებად შეეკუმშა.

ეხლა ერთმანეთისა აღარა ესმოდათ-რა. შემკრთალი იაკინთე ვერას ამბობდა, ისევ თავისის მეგობრის გახსენებასა სცდილობდა.

3
ეროვნული ბიბლიოთეკა

მუ[illegible]ოლერებული იდგა, პასუხს ელო[illegible] და ის იყო უნდა სცემოდა დაუპატიჟებელს სტუმარს. დაპატიჟებული სტუმრები გაოგნებულნი იყვნენ, ვერა გაეგოთ-რა და ხან იაკინთეს აჰხედ-დაჰხედავდნენ ხოლმე, ხან სახე-გამწყრალს მასპინძელს...

ერთი წუთიც და ცუდი ამბავი დატრიალდებოდა...

უცბად... ყმაწვილმა ქალმა ერთი გულიანად გადაიხარხარა და სავარძელზედ გადაიქცა სიცილით. ამ სიცილის გამო მასპინძელთან ერთად შემოსულს სტუმრებს გამოურკვეველი ღიმილი მოუვიდათ სახეზედ, ქმარს შეკუმშული ხელები გაეშალა, მაგრამ მაინც ვერავის არა ესმოდა რა. მხოლოდ იაკინთე ჰგრძნობდა თავისს უცნაურს მდგომარეობას და რაღაცას ლუღლუღებდა: ,,უკაცრავად... მე...“...

ბოლოს გამოირკვა, რომ იაკინთე, კუპატაძეს ნაცვლად, სულ სხვის სახლში შესულიყო შეცდომით. მასპინძელ-სტუმრები საერთო სიცილით მიეგებნენ ამ ამბავს. დიასახლისი მეტის სიცილით წამოდენილს ცრემლს იწმენდდა ხელსახოცით. შერცხვენილი იაკინთე-კი ქუდს ეძებდა... მაგრამ გამხიარულებული მასპინძელი არ მოეშვა დაუპატიჟებელს სტუმარს, გაეცნო, გაიცნო და გულით სთხოვა დარჩენა. იაკინთეს ლაზათიანად გაუმასპინძლდნენ და ამ უცნაურ შემთხვევის გამო რამდენიმე სავსე ჭიქა დასცალეს. საზოგადოდ ახალმა წელიწადმა ამ ოჯახში დიდი მხიარულება შეიტანა.

თვით „დაუპატიჟებელი სტუმარიც“, რომელსაც მასპინძელ-წვეულნი „ღვთის სტუმარს“ ეძახდნენ, რაკი გამოერკვა და ორიოდე ჭიქა გადაჰკრა, გამხიარულდა და თავისი საქმე თითონვე სასაცილოდ არა ჰყოფნიდა.

დილის ოთხი საათი იყო, როდესაც იაკინთე მადლობის გარდახდით გამოეთხოვა თავისს გულ-უხვს მასპინძელს და სახლისაკენ წავიდა.

II

იაკინთეს ცოლი მაიკო თუ დარწმუნებული იყო, ჩემი ქმარი არასოდეს არ მიღალატებს და არავისზედ გამცვლის, უბრალოდ გარეთ არ დაიწყებს ხეტიალსაო, სამაგიეროდ ამასვე ვერ იტყოდა იმათი შორი ახლო, უცნობი მეზობელი ბარბარე, ძეხვაძის ცოლი. ასიკო ძეხვაძე მეტად მოყვარული იყო ლხინისა და ქეიფისა, „ნახევარს სიცოცხლეს გარეთ ატარებდა“, როგორც ცოლი უსაყვედურებდა ხოლმე, და თითქმის ყოველ დღე დილის 4—5 საათზედ შექეიფიანებული ჰბრუნდებოდა სახლში. ამის გამო, აშკარაა, ცოლსა და ქმარს შორის ხშირად ატეხილა უსიამოვნება, მაგრამ, ნათქვამია, „დაუჩვეველს ნუ დააჩვევ, დაჩვეულს კი ნუ მოუშლიო“—ასიკო მეტად იყო ასეთს ცხოვრებას დაჩვეული და ველარა გადააჩვევდა-რა.

ასიკოს ასეთის ხასიათის მიუხედავად, ბარბარეს თავისი ქმარი საშინლად უყვარდა და თუმცა ხშირად ჰკიცხავდა ხოლმე იმისს სახლში დაუდგომლობასა და თავ-ქარიანს ცხოვრებას, მაგრამ ქმრის ღალატი ფიქრადაც არასოდეს გაუვლიდა, იმდენად პატიოსანი და თავ-დაჭერილი ქალი იყო, იმდენად ერთგული ქმრისა და ოჯახისა.

ამ საღამოს ასიკო, ჩვეულებრივ, სახლში არა ჰბრძანდებოდა. იგი სხვაგან, ვინ იცის სად და ვისთან, ეგებებოდა ახალ-წელიწადს. ბარბარემ მილაგ-მოალაგა სახლი, ერთად-ერთი ცოლშვილიანი მოსამსახურე დაითხოვა თავისს ოჯახში, თითონ-კი, მოლოლული საახალწლო სამზადისითა და სახლის მილაგ-მოლაგებით, 12 საათზედ მივიდა ტკბილეულობით აჭრელებულ მაგიდასთან, „თავი დაიბერა“, ცოტაოდენს შენაყრდა და, რაკი შიში არაფრისა ჰქონდა, არც უნდოდა ღამე ადგომით თავი შეეწუხებინა,—კარები არ დაუკეტია, ისე ჩაწვა ლოგინში და მიიძინა. იცოდა, რომ ქმარი ამ საღამოს ახალწლის გამო ძალიან გვიან მივიდოდა სახლში, ჩვეულებრივზედ გვიან, და, რაღა თქმა უნდა, ნაქეიფარ-ნალხინარიც იქნებოდა...

...იაკინთე მოდიოდა შინ და თან ტორტმანებდა. სმას შეუჩვევარს მკრთალაძეს ღვინო მოეკიდა და ოდნავ ფეხს ურევდა. მაინც ვერ გამორკვეულიყო, როგორ დამემართა ეს ამბავიო, და დუდუნებდა:

—უცნაური თუ გინდათ, ეს არის!.. აბა ამაზეა, აი, ნათქვამი: ,,კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო!“ კუპატაძე, ვინ იცის, რა მოუთმენლად მიმელოდდა ჩ მე-კი, ეშმაკმა უწყის, ვის გაუწიე დაუპატიჟებელი სტუმრობა... არა, როცა შევედი, რატომ არ ვიკითხე,—იქ ვინა სცხოვრობს-მეთქი?. ძალიან კარგად მახსოვს, რომ კუპატაძე იდგა იმ სახლში და რაღა უნდა მეკითხა?.. კუპატაძეც ოხერია, მეტყოდა მაინც, სახლი დავცალე და აქა-იქ გადავედიო.... მოეცია!. შეუკურთხა იაკინთემ უდანაშაულო ამხანაგს და მთელი თავისი ბრალი იმას მოახვია კისერზედ, თუმცა კუპატაძე აქ არაფერს შუაში იყო, რადგან არც სახლი დაეცალა და არც სხვაგან გადასულიყო. იაკინთე ვერ მიმხვდარიყო, რომ აქ თუ ბრალი ჰქონდა ვისმე და რასმე, ისევ იმისს გულ-მავიწყობასა და უგულისყურობას ვერ მიმხვდარიყო, რადგან ეს თავისი საზოგადო ნაკლი, როგორც ვთქვით, შემჩნეული არა ჰქონდა.

იაკინთემ შეაღო სახლის კარები, შევიდა საწოლს ოთახში და რაკი ჩამი-ჩუმი არ ისმოდა, ცოლს აღარ შეეხმაურა,—დაღალული იქნება და ძილი რად დავუფრთხოო; ესეც არ იყოს, არც ამისი თავი ჰქონდა, ღვინომ და ლხინმა იგი, ლხინს უჩვევი, მოჰქანცა და მოჰღალა. იაკინთემ ტანთ გაიხადა, ოდნავ მბჟუტავი ლამპარი ერთის შებერვით ჩააქრო, ჩაწვა ლოგინში და მაშინვე ძილმა ჩაიხვია...

კარგა გათენებული იყო, რომ იაკინთემ, ადრე ადგომას ჩვეულმა, თვალები გამოახილა. მიიხედ-მოიხედა და, რა-კი იქაურობა ვერ იცნო, თავისს ახლო, მეორე ლოგინში, მწოლს არსებას დააცქერდა. ამ არსებამაც, თითქოს იგრძნო, რომ ვიღაცა მიყურებსო, ან დაშტერებულ თვალის ძალამ გამოარკვია ძილისაგანაო,—მაშინვე სჭყიტა თვალები და შეჰხედა იაკინთეს. შეხედვა და იმის სახეზედ შიშის აღბეჭდვა, გაოცებით პირის გაღება, თითქოს რაღასიც თქმა უნდა და მეტის-მეტის მღელვარებით ენა ჩავარდნიაო, და ზეზედ წამოჯდომა ერთი იყო.

—ვაი, ქა-ა-ა?! დაიძახა ქალმა, რადგან იაკინთეს უცნობი არსება დედათა სქესს ეკუთვნოდა, დაიძახა ისეთის კილოთი, თითქოს ყოვლად გაუგებარსა და შეუძლებელს გამოცანას წასწყდომიაო, შემდეგ კედელ-მორეულმა შიშველს გულზედ საბანი აიფარა, საბნის ქვეშვე დამალა მკლავები და თან თვალს არ აშორებდა იაკინთეს, რომელიც კვლავ იქაურობას ათვალიერებდა, ხან თავისს ლოგინს ჰსინჯავდა ჩ ხან ქალს აცქერდებოდა. ბოლოს იაკინთემ პირჯვარი გარდაიწერა, დარწმუნებული, რომ სიზმარში ვარო, გადაბრუნდა მეორე მხარეს და თვალები საძილედ მილულა.

იმის გადაბრუნება და ქალის ფეხზედ წამოხტომა ერთი იყო. გულაჩქროლებულმა ბარბარემ — მკითხველი უკვე მიხვდებოდა, რომ ეს ქალი, ძეხვაძის ცოლი ბარბარე იყო —თვალის დახამხამებისავე უმალ გადიცვა კაბა, დაიხედა ზედ და გულმა ისე ვერ გაუძლო, რომ ერთი საკუშიაც არ გადაევლო თავისის გარეგნობისათვის თვალი. შემდეგ კარებთან მივიდა, ოდნავ გააღო იგი, ცოტა შედგა კარებში, იმ აზრით თუ, რომ ვინიცობაა შიში რამ იყოს, თავს ვუშველოო,—და ხმა მაღლა დაიძახა:

—შენ ეი, ვიღაცა ოხერი ხარ, წამოდექი, რა გინდა აქ რომ შემოთრეულხარო!..

ყოველივე ეს ერთის თვალის დახამხამებაზედ მოხდა, მაგრამ ვიდრე ეს მოხდებოდა, იაკინთეს თავში ხუთი ათასმა ფიქრმა გაიქროლა და გამოიქროლა. იაკინთეს, როგორც წეღან ვთქვით, პირველში ყოველივე სიზმარი ეგონა და საძილედ მილულა თვალი, მაგრამ რა დააძინებდა. იწვა და ხან აახელდა გაოცებულ თვალებს იმის დასარწმუნებლად, სურათი ხომ არ შეიცვალაო, ხან ჰლულავდა,—იქნება სიზმარია მართლაო. ბოლოს იჩქმიტა კიდეც ბარძაყზედ და დარწმუნდა, რომ ჰღვიძავს და ყოველივე იქაურობა მარტო ოცნების ნაყოფი არ არის.

—დალახვრა სამასს სამოც-და-სამმა წმიდა გიორგიმ! ძლივს გასაგონად წაიდუდუნა იაკინთემ: ვგონებ მაინც სული ამკიდებია და ყველაფერი ჩემს გარშემო რაღაც უცნაურადა ჰხდება. სადა ვარ ნეტა?!.. რატომ ჩემს მაიკოსთან არა ვარ, ჩემს სახლში... დაიცა, დაიცა!.. გუშინ ხომ იმ წყეულის კუპატაძის მიზეზით ვიღაცა უცნობისას მივეგებე ახალწელს... ჰო, ჰო, ალბად იქ გადამიყლურჭავს ცოტა და იქვე დაუძინებივართ. კარგი, მაგრამ ეს უცხო ქალი ვიღა იწვა ჩემს ახლოს?... არა, აქ რაღაცა სხვა ამბავია... ვითომ მღვიძავს-კიო?! დაეკითხა კვლავ ეჭვით თავისს თავს იაკინთე, ახლა ზეზედ ჩამოჯდა და მიავლ-მოავლო იქაურობას თვალი.

სწორედ ამ დროს შემოესმა ბარბარეს სიტყვები და იაკინთეს ელდა ეცა. არა, მართლა აქ რაღაც სხვა ამბავიაო! იფიქრა ახლა-კი გარდაწყვეტით და წამოხტა. გადაიცვა იქვე მის მიერვე წინა ღამეს სკამზედ დალაგებული ტანისამოსი და გავიდა ოთახში.

დაინახა თუ არა ბარბარემ ტანისამოსიანი იაკინთე, ეხლა-კი დარწმუნდა, რომ უცხო კაციაო, ახლა, რადგან აქამდე კიდევ ცალ-მხრივ თითქმის ჰო-არაობის საგონებელში იყო,—იქნება ასიკო უცხოდ მეჩვენაო. ახალგაზრდა ქალმა ერთი შეჰკივლა, სწრაფად გავიდა მეორე ოთახში, იქიდგან ოდნავ გაღებულს კარებში შემოჰყო თავი და დაეკითხა: ,,ვინა ხართ? აქ რა გინდოდათ?“ და ამავე დროს უცნაური აზრი დაებადა: იქნება ასიკომ მოიყვანა, დააწვინა და თითონ-კი სხვაგან წავიდა, თუმცა ამ აზრის შესაძლებლობა თითონვე იმ წამსვე უარ-ჰყო.

იაკინთემ შეშინებული ქალი დაინახა და ფიქრებში გაბმულმა უპასუხა:

— ნუ ჰშიშობთ, ქურდი არა ვარ და ავაზაკი... მე პატიოსანი მოხელე გახლავართ... არ მესმის... მაგრამ სადა ვარ?..

— როგორ, გეძინათ აქ, ჩემს სახლში (,,ჩემს გვერდითაო“, აღარა სთქვა ბარბარემ), და თქვენვე არ იცით, სადა ხართ?!..

— ისე, როგორც თქვენ არ იცით, აქ რად მეძინა?.. ან იქნება იცოდეთ?.. მოითმინეთ, წუხელის მე აქ, თქვენსას, არ ვიყავი ვახშმად?!..

ამ სიტყვებით გაოცებულს ბარბარეს ახლა-კი გიჟი ეგონა იაკინთე და უფრო შეშინდა. ბოლოს იაკინთემ უამბო ყოველივე და ბარბარე დარწმუნდა, რომ ეს ამბავი ამ ვიღაცა ბატონს იმიტომ დამჰმართებია, რომ მოჰყარბებით გადაუკრავს და ღვინის სიცხე ჰქონიაო; ასე დარწმუნდა, რადგან არ იცოდა, რომ იაკინთე დიდი გულ-მავიწყი და უგულის-ყურო კაცი იყო.

იაკინთემ დიდის ამბით მოიბოდიშა თავი, ამ უკანასკნელის შემთხვევის გამო აწ უკვე გაღიმებულის ბარბარეს წინაშე, თუმცა როდესაც ბოდიშს იხდიდა, მაშინაც იგი იმ ფიქრსა ჰყავდა წაღებული, როგორ მოხდა ეს, აქ რამ მოგიყვანაო,—და ის იყო წასვლას აპირებდა, რომ შექეიფიანებულმა ასიკომაც შეაღო კარი, დაინახა უცხო კაცი და ცოლს თვალებით შეეკითხა: „ვინ არის...?“.

— ეს ბატონი ამას წინად გავიცანი თეატრში და ეხლა მოსალოცად მობრძანებულაო! იცრუა მოხერხებულმა ბარბარემ, ამავე დროს გაახსენდა, რომ გვარიც-კი არ იცოდა იმ კაცისა, რომელთანაც მთელს ღამეს ერთად გაატარა საწოლს ოთახში ტანთ-გახდილმა ჩ ახალგაზდა ქალს სირცხვილით ლოყის თავები წამოუჭარხლდა. ამ სიცრუის გამგონე იაკინთე ჩუმად იყო. და ან რა ეთქმოდა?...

— ა-ა-ა, დიდად სასიამოვნოა! გაჰიანურებითა სთქვა ასიკომ: თუმცა ცოტა ადრეული დარბაზობა მოგსვლიათ. მე ეხლა ვახშმიდგან მოვდივარ,—მაგრამ არა უჭირს-რა, მეკვლე თქვენ იქნებით. აბა, დედაკაცო, ერთი ქრისტიანულად დავაბეროთ მეკვლე!...

„დააბერეს“ ხმა-აკმენდილი და ამდენის აურზაურისაგან გამოჩერჩეტებული იაკინთე და გამოისტუმრეს. მიდიოდა იაკინთე სახლში და მაინც კიდევ ვერ გამოერკვია, რად ეძინა იქ, სადაც არ უნდა სძინებოდა იმას შემდეგ, როდესაც ვახშამი ჭამა და ახალ-წელს მიეგება იქ, სადაც არც ვახშამი უნდა ეჭამა, და არც ახალწელს მიჰგებებოდა, მიდიოდა და თან ფიქრებში დაბნეული დუდუნებდა:

—სულ ახალ-წლის ბრალიაო!...

ორ-ანი

## ერთი საჭიროებათაგანი ჩვენის მწერლობისა.

ერთი დიდი ნაკლულევანება ჩვენის მწერლობისა ის გახლავთ, რომ აქამდის თითქმის არ არსებობს სრული კრებული ამა თუ იმ მწერლის ნაწერებისა. გარდა ამისა, თუ ორს-სამს მწერალს არ ვიანგარიშებთ, იმათს ნაწერებს არ უძღვის ბიოგრაფიული ცნობები. ჩვენს ლიტერატურაში ამ ჟამად არიან ისეთი ცნობილი მწერლებიც, რომლის შესახებ არ ვიცით, რომელს წელიწადს დაიბადნენ, სად მიიღეს სწავლა და რა წელიწადს დაიწყეს წერა. ამ გვარი გარემოება საშინლად ხელს უცარავს მსურველს გააცნოს უცხოელებს მათის ნაწერების ხასიათი და თანდათანობითი განვითარება მათის ნიჭისა. მაგალითად, ვაჟაფშაველას და ბაჩანას შესახებ სრულიად არ არსებობს ბიოგრაფიული ცნობები, თუ არ ვიანგარიშებთ პირველის შესახებ ვ. გუნიას კალენდარში მოყვანილს მოკლე ცნობებს. მეტადრე ვინც მოშორებულია ტფილისს მისთვის შეუძლებელი ხდება ზემომოყვანილის საკითხის გამორკვევა.

რუსულს მწერლობაში „Рус. Старина“-ს განსვენებულმა რედაქტორმა სემევსკიმ ერთი წასაბაძი მაგალითი დაგვიტოვა. მას ჰქონდა ჩვეულებად უბის წიგნის ტარება, სადაც ჩააწერინებდა ხოლმე ყველას, ვისაც-კი შეხვდებოდა, მწერალთა და გამოჩენილ მოღვაწეთა შორის, თავისისავე ხელით მოკლე ბიოგრაფიას და მწერლობაში მოღვაწეობის ისტორიას. შემდეგ თავისსავე ჟურნალში და მას უკან ცალკე წიგნად აღბეჭდა კრებული „ჩემი ნაცნობნი“ (Мои Знакомые). კარგი იქნებოდა, რომ ასეთის მიგალითის წამბაძავი მოინახოს ჩვენშიაც და შეჰკრიბოს ცნობანი ჩვენის სხვა და-სხვა გვარ მოღვაწეთა შესახებ.

ვიდრე ასეთი ვინმე გამოჩნდება, ქართული გაზეთები დიდს სამსახურს გაუწევენ ჩვენს საზოგადოებას, ასეთს ცნობებს რომ ადგილი დაუთმონ. საკმარისი იქნება 20—30 სტრიქონი პირველი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. თითონ მწერლებმა რომ არ დაიზარონ და აცნობონ რედაქციებს საჭირო ცნობანი, უფრო გაადვილებენ საქმეს. მე ვგონებ, აქ სრულიად უადგილო იქნება დაფარვა და თავის-მოყვარეობით ხელმძღვანელობა. სამარცხვინო და საჩოთირო არა იქნებარა, რომ თვით-მწერლებმა გაგვიზიარონ თავიანთ ცხოვრებისა და მწერლობის ცნობები. მეტადრე ახალგაზდა მწერალთა შესახებ, რომელნიც ამ ათითხუთმეტის წლის წინად გამოვიდნენ ასპარეზზედ, თითქმის არა ვიცით რა. ყოველგვარი შემწეობა და დახმარება ამ ჩემი სურვილის განსახორციელებლად სასარგებლო იქნება. გავბედავ და ვიტყვი, რომ ამ ჩემს სურვილს თანამგრძნობნი გამოუჩნდებიან. სხვა-და-სხვა დროის ჟურნალ-გაზეთებში გაფანტულ ნაწერების შეკრება და მათის ავტორების შესახებ ბიოგრაფიულ ცნობების დამატება პირველს საჭიროებას შეადგენს ლიტერატურის ისტორიისათვის.

ა. ხახანაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი ამბავი

⁂ გუშინ, 31 დეკემბერს, ტფილისის გუბერნატორმა შეატყობინა ქალაქის გამგეობას, რომ საბჭოს მიერ არჩეული წევრი ქალაქის გამგეობისა თავ. ვასილ ნიკოლოოზის ძე ჩერქეზიშვილი დამტკიცებულ იქმნა ამ თანამდებობაში. ახალი წევრი ქალაქის გამგეობისა ფიცს მიიღებს 2 იანვარს და იმავე დღიდგან შეუდგება თვის თანამდებობის ასრულებას.

⁂ 30 დეკემბერს ქალაქის საბჭომ მოისმინა ტფილისის გუბერნატორის წინადადება იმის შესახებ, რომ კავკასიის მთავარ-მართებლის განკარგულების თანხმად, საბჭოს დადგენილება ბელგიის უსახელო საზოგადოებასთან ხელშეკრულობის დადების შესახებ შეჩერებული იქმნას ახალს განკარგულებამდისო. შემდეგ საბჭომ მოისმინა და შეიწყნარა გამგეობის მიერ შემუშავებული პროექტი ტფილისში კომიტეტის შედგენის შესახებ ზნედაცემულ ქალთა თვალ-ყურის სადევნებლად, რათა ვენერიულ ავადმყოფობის გავრცელება შემცირდეს. კომიტეტის წევრებად პროექტი ასახელებს ქალაქის მოურავს, პოლიციმეისტერს და მის თანაშემწეს, გუბერნიის ექიმს და მის თანაშემწეს, ქალაქის სამკურნალო სასანიტარო ინსპექტორს და სხვათა.

⁂ გუშინ, 31 დეკემბერს, ქალაქის გამგეობამ გამართა შობის ხე სულით-ავადმყოფთა თავშესაფარში.

⁂ გუშინ წინ, 30 დეკემბერს, კავკასიის მთავარ-მართებელმა გენერალ-ადიუტანტმა თავ. გ. ს. გოლიცინმა თავისს მეუღლესთან ერთად დაათვალიერა გ. ი. გაბაშვილის სურათების გამოფენა. თავადმა მთავარ-მართებელმა შეიძინა რამდენიმე სურათი და მათ შორის ერთი დიდი სურათი, რომელსაც სახელად ეწოდება „ბაზარი სამარყანდში".

⁂ ხვალ, 2 იანვარს, ქართულ თეატრში ქართული დრამატიული დასი ქართულის თეატრის დაფუძნების სახსოვრად წარმოადგენს „დაკა"-ს და ბ. ნ[illegible]შვილის პიესას „სამზადისს" და დასასრულს აპოთეოზი იქმნება გამართული.

⁂ ორშაბათს, 4 იანვარს, ავჭალის ქუჩაზედ სახალხო კითხვების სადგომში ქართველ სცენის მოყვარეთა მიერ სახალხო წარმოდგენა იქმნება გამართული. ითამაშებენ ორ პიესას „ბიძიასთან გამოსთხოვება"-სა და „დატრიალდა ჯარა"-ს. დასაწყისი 6 საათზედ.

⁂ ამ რამდენისამე ხნის წინად მკურნალმა მიხეილ ალექსანდრეს ძემ გედევანიშვილმა შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ ნება მიეცეს დაარსოს ტფილისში კერძო სამკურნალო. როგორც პეტერბურგიდგან გვაცნობებენ, მთავრობას ეს თხოვნა შეუწყნარებია და სამკურნალოს წესდებაც დაუმტკიცებია.

⁂ ქალაქელ მეტლეებს დაევალათ, რომ დღეს, პირველ იანვარს, შემდეგის ნიხრით იხელმძღვანელონ: ერთის საათის მგზავრობაში უნდა აიღონ ერთი მანეთი; ერთის გზობა სიარულისათვის 50 კაპ. ეს საგანგებო ნიხრი საღამოს 6 საათამდეა შემოღებული.

⁂ მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ წარსულის წლის 2 ნოემბერს თელავში მოხდა ქალაქის მამასახლისის თანაშემწეს არჩევანი. ქალაქის თვით მართველობამ სამი კანდიდატი წარმოუდგინა გუბერნატორს დასამტკიცებლად ს. ი. მიღდისოვი, ფ. გ. იონშერი და ი. პ. როსტომაშვილი. გუბერნატორმა მამასახლისის თანაშემწედ დაამტკიცა ფერდინანდ იონშერი, ხოლო იმის კანდიდატად ივანე პავლესძე როსტომაშვილი.

⁂ ამ თვის პირველ რიცხვებში მოხდება სამეურნეო საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება. კრებამ უნდა მოილაპარაკოს მიწად-მოქმედების სამინისტროს მიერ აღძრულ საგნის—დედათა უმაღლეს სასოფლო-სამეურნეო სწავლა—განათლების გავრცელების შესახებ.

⁂ თიანეთის მაზრის სოფ. ალვანში ვიღაც ბოროტ-განზრახველთ ცეცხლი წაუკიდეს ადგილობრივ მცხოვრებლის ჩურქაშვილის სახლს.

⁂ სამინისტროს მიერ გამოგზავნილი ინჟენერი კ. ე. კეტრიცი რკინის გზაზედ მომხდარ უთანხმოების გამოსარკვევად 29 დეკემბერს უკვე ჩამოვიდა ტფილისში.

⁂ ტფილისის ვაჭრებმა ქალაქის გამგეობის წინაშე შუამდგომლობა აღძრეს, იმის შესახებ, რომ კვირას, 3 იანვარს, მთელი დღე ვაჭრობის ნება მისცენ.

⁂ ორდუბათის ოლქის სოფ. მეგრიდგან სწერენ „ახ. მიმ."-ს, რომ ამას წინად სპილენძის მადნების პატრონმა ბ-ნმა კანდურალოვმა თავისი მადნები ინგლისელ ამხანაგობას მიჰყიდა 600,000 მანეთადაო.

⁂ 30 დეკემბერს, საღამოს $8\frac{1}{2}$ საათზედ, სასახლის ქუჩაზედ ვიღაც ქურდმა გასტეხა ოქრომჭედლის ფრიდმანის მაღაზიის ფანჯარა, აიტაცა ძვირფასი სამაჯური და გაიქცა, მაგრამ ლორის-მელიქოვის ქუჩის კუთხეში ვიღაც კაცმა დაიჭირა. ქურდი ისა-მაჰმედ-ოღლი გედიუსოვი აღმოჩნდა.

⁂ ქალაქის მოურავმა საყოველთაო მიწერილობა გაუგზავნა სასანიტარო მზრუნველებს იმის შესახებ, რომ მეტი ყურადღება მიაქციონ ქუჩების და მოედნების სისუფთავეს. მაგრამ, როგორც „ტფ. ფურ."-ი იუწყება, როდესაც მიწერილობა დაგზავნეს, აღმოჩნდა, რომ ქალაქს სანიტარები არა ჰყოლია და მე-3, 4 და 7 ნაწილის გარდა, ყველა სხვა ნაწილის სანიტარებს სხვა და სხვა დროს უარი განუცხადებიათ თანამდებობაზედ.

⁂ კარგა ხანია, რაც წმ. იოანეს ღვთისმეტყველის ეკკლესიის მზრუნველს შუამდგომლობა აღუძრავს ქალაქის გამგეობის წინაშე იმის შესახებ, რომ გაფართოებულ იქმნას ის ვიწრო ქუჩა, რომელიც ოლგას ქუჩიდგან ეკლესიამდე მიდის. ქალაქის მოურავს მიუნდვია მიწის-მზომელისათვის ამ ქუჩის გაფართოების გეგმის შედგენა.

⁂ ამა წლიდგან იმ ბეითალებს, რომელნიც სამინისტროს მიერ იქმნენ გამოგზავნილნი კავკასიაში, ჯამაგირები მოემატებათ და წელიწადში 1200 მანეთი ექმნებათ.

⁂ ამ თვის პირველ რიცხვებში სახელმწიფო თეატრში ხარკოვის უნივერსიტეტის სტუდენტთა სასარგებლოდ წარმოდგენა იქმნება გამართული.

⁂ „ახ. მიმ."-ს სწერენ ქუთაისიდგან: წარსულ თვეში პოლიციელმა ივ. არველაძემ სასიკვდილოდ დასჭრა ვიღაც ვ. დეისაძე. პირველად ამბობდნენ, რომ არველაძე მხოლოდ თავს იცავდა, დეისაძეს იგერიებდა და ამ დროს დასჭრა იგი. მაგრამ შემდეგ გამოირკვა, რომ ამ დღეს არველაძე მთვრალი ყოფილა, რევოლვერი უსროლია პოლიციელ გერსამიასთვის და სხვებისთვისაც. ამისათვის პოლიციის მოხელეს ვარდოსანიძეს დაუპატიმრებია არველაძე, მაგრამ როგორც განთავისუფლებულა, წასულა საროსკიპო სახლში და დაუჭრია დეისაძე. იქვე ყოფილა პოლიციელი გოგიაშვილი, მაგრამ ხელი არ გაუღია და მოჩხუბარნი არ გაუშველებია. ამ საქმის გამო სამართალში მიცემულ იქმნენ ბოქაული მაჭავარიანი, პოლიციის მოხელე ვარდოსანიძე და პოლიციელნი არველაძე და გოგიაშვილი. პირველ ორს თანამდებობის აღუსრულებლობის ბრალი ედება, მესამეს — უმიზეზოდ დეისაძის დაჭრა, ხოლო უკანასკნელს ის, რომ არაფერი არ იღონა და მოჩხუბარნი არ გააშველაო.

⁂ გუშინ, 31 დეკემბერს, ტფილისის ქალაქის გამგეობამ გადასცა საფინანსო კომისიას განსახილველად სავარაუდო აღრიცხვა ქალაქის 1899 წლის შემოსავალ-გასავლისა.

## ქართული სალამო კავკავში.

27 დეკემბერს, შობის მესამე დღეს, კავკავის ქართული სკოლის სასარგებლოდ, ბ-ნ ალექსანდრე პეტრეს ძის სარაჯიშვილის თაოსნობით, მეცადინეობითა და მხნეობით გამართული იქმნა ქართული სალამო, რომელსაც დაესწრო აუარებელი ხალხი ადგილობრივის საზოგადოებისა, წოდებისა და ეროვნებისა განურჩევლად. სალამო იქმნა გამართული სკოლის შენობაში, სადაც ერთი სრული დარბაზი დანიშნული იყო მოცეკვავეთათვის, ხოლო მეორეში გამოფენილი იყო სხვა და სხვა ნივთები, საბაზრო. იქვე იდგა დიდი ფეტვით სავსე კასრი, რომელშიაც არეული იყო სხვა და სხვა ნივთები სხვა და სხვა ფასისა. მსურველს შეეძლო გადაეხადა აბაზი და ამოეღო ბოჭკიდგან ნივთი, რომელიც ერგებოდა. ნივთები ნახევარის საათის განმავლობაში სულ დაიყიდა, ასე რომ ბევრი მსურველი აღმოჩნდა შემდეგაც ეყიდნათ, მაგრამ ნივთები გაყიდული აღმოჩნდა. იქვე, სადაც ბაზრობა იყო გამართული, მოწყობილი იყო ჩაის სასმელი, რომელსაც განაგებდენ ელისაბედ და ეკატერინე მიზდოკილოვებისა: ბაზრობის საქმეს განაგებდნენ: ქ-ნი თამარი იოსების ასული გაბაშვილი, ანნა ალექსანდრეს ასული როგოვსკაია და დარია ილარიონის ასული ბაქრაძე. მეორე ოთახში გამართული იყო საუზმე, სადაც დიასახლისობდა თვითონ მეუღლე ალექსანდრე სარაჯიშვილისა პატივცემული სოფიო იოსების ასული. ვრცელს დერეფანში გამართული იყო ბაღი დეკორატიულის მცენარებით, რომელიც სასიამოვნო სანახავი იყო. სალამოზედ უკრავდა სამხედრო მუსიკა და საზანდარი. საზოგადოდ სალამომ მხიარულად ჩაიარა და შემოსავალიც წინა წლებთან შედარებით გაცილებით მეტი იყო, რაც უნდა მიეწეროს გონიერს გამგეობას და კარგს თაოსნობას ალექსანდრე პეტრეს ძის სარაჯიშვილისას.

კახაბერი.

## პოლიტიკა 1898 წელს

1898 წელიწადი, რომელმაც ეს ეს არის სული დალია, მდიდარი იყო მრავალ გვარ საპოლიტიკო ცვალებით. ამ წელში ზოგიერთი სახელმწიფო ძირითადად შეირყა და ზოგიერთმა ახალი მიმართულება მიიღო, სხვა გზა აირჩია ცხოვრების გასაუმჯობესებლად. საზოგადოდ წარსული წელი ერთობ მრავალ ფეროვანი იყო პოლიტიკურის მოვლენით და ამ მხრივ იმან ბევრად გადააჭარბა სხვა წლებს უკანასკნელს ხანს.

დავიწყოთ ესპანიიდგან. ეს სახელმწიფო ოდესღაც ერთს უძლიერესს ქვეყანას წარმოადგენდა მთელს ევროპაში. მაშინ მან მრავალი ადგილი შეიძინა ამერიკასა, აფრიკასა და აზიაში და ამით დიდძალი სიმდიდრე მოემატა. მაგრამ განვლო დრომ და ესპანიამაც წინმსვლელობის ნიჭი დაჰკარგა; ახალშეძენილ ქვეყნებს ძარცვა-გლეჯა დაუწყო, რაც-კი რამ სიმდიდრე დაინახა იქ, ყველგან ხელი წაუპოტინა და შეუსჯელად მოინდომა; ხოლო ამის ნაცვლად არაფერი-კი არ შესძინა იმ ქვეყნებს, ადგილობრივ მკვიდრთა ცხოვრების გაუმჯობესობას იოტის ოდნადაც არ ეცადა. ერთის სიტყვით ესპანია ისე უყურებდა ძალად დაპყრობილ ქვეყნებს, როგორც მგელი ნანადირევს, ხოლო იმ ქვეყნების მკვიდრნი ესპანელებს ისე უყურებდნენ, როგორც მძარცველს და მჩაგვრელს. რაღა თქმა უნდა, ასეთი მდგომარეობა სამუდამოდ ვერ გასტანდა და მართლაც ხშირ-ხშირად მოვლენად გარდაიქცა ესპანიის ახალშენებში ხალხის ამბოხება ესპანიის წინააღმდეგ. იშვიათად გაივლიდა ისეთი წელიწადი უკანასკნელ საუკუნის განმავლობაში, ან ერთს ადგილას არ აჯანყებოდა ესპანიის ხალხი და ან მეორეს. უპირველესი ადგილი-კი ამ მხრივ კუბამა და ფილიპინებმა დაიკავეს. 1896 წელს კუბელ მეამბოხეებმა ყურადღება მიიპყრეს მთელის განათლებულ კაცობრიობისა, მაგრამ უფრო-კი ამერიკის შეერთებულ შტატებისა. ეს სახელმწიფო წინადაც რამდენსამე მფარველობას უწევდა კუბელ მეამბოხეთ, მაგრამ ეხლა უფრო გამოიჩინა გულმტკივნეულობა მათდამი მიმართ. რაღა თქმა უნდა, შტატებს პირადი სარგებლობა უფრო ამოქმედებდა, ვიდრე კუბელების მდგომარეობა. მაგრამ ასე იყო თუ ისე საქმე, შტატები შემთხვევას ელოდა, რომ კუბელების საქმეში აშკარად ჩარეულიყო და ეს შემთხვევაც წარსულს წელს მიეცა. კუბის ერთს ნავთსადგურში შტატების გემი „მენი" აფეთქდა და დაიღუპა. ნამდვილად ეხლაც არავინ იცის, ვინ იყო აფეთქების მიზეზი, მაგრამ შეერთებულ შტატების მთავრობამ ეს შემთხვევა ხელზედ დაიხვია და საკმარისად მიიჩნია ესპანელებისათვის ომი გამოეცხადებინა. შეერთებულმა შტატებმა ნამდვილი ამერიკული სისწრაფე გამოიჩინა ამ შემთხვევაში: მისთვის სულ რამდენიმე თვე საკმარისი დარჩა, რომ დონკიხოტის სამშობლოს ფლოტი სულ ერთიანად გაენადგურებინა. შედეგი ამ ომისა უკვე ცნობილია: ესპანიამ დაჰკარგა არა მარტო კუბა, არამედ პორტორიკო და დიდი ოკეანეს არხიპელაგი აზიაში, ფილიპპის კუნძულებად წოდებული. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. ესპანიას იმდენი ვალი დასდებია ომის დროს და წინადაც, რომ, როგორც იმის, ამ ვალის გასასტუმრებლად, რაც რომ ახალშენები შერჩა, ყველას გაყიდვა განუზრახავს. ყოველსავე ამას ისიც ზედ ერთვის, რომ ეხლა მომეტებულის სითამამით ასწიეს თავი რესპუბლიკელმა დასმა და დონ-კარლოსის მომხრეებმა და ეხლანდელ მთავრობას გადაყენებას უპირებენ. ამნაირად რამდენისამე საუკუნის განმავლობაში უხეირო მართვა-გამგეობის ნაყოფმა ერთად მოიყარა თავი და საკმარისი იყო ძლიერს ერთხან დატაკება, რომ საშუალ საუკუნოებში სახელ განთქმული ესპანია ერთბაშად მიწასთან გასწორებულიყო.

ესპანიის დამარცხებას თან მოჰყვა ამერიკის შტატების გაძლიერება და სახელის განთქმა. აქამდის შეერთებული შტატები თავისს სამფლობელოს არ აფართოვებდა და ამერიკას ხომ არა ჰშორდებოდა და არა; ეხლა-კი ახალი ადგილებიც შეიძინა, ისიც ძალად, და ამერიკის საზღვრებსაც გადააბიჯა. ყოველისავე ამისათვის, ცხადია, ძლიერი ფლოტია საჭირო და დიდძალი მხედრობა, და ამერიკაც იძულებული გახდა ერთისთვისაც იზრუნოს და მეორისთვისაც. ამ რიგად შეერთებული შტატები დაადგა სწორედ იმ გზას, რასაც აქამდის ევროპას უძრახავდა, და ვინ იცის, იქნება კიდეც გადააჭარბოს ევროპას.

ეს მოვლენა, ე. ი. შეერთებულის შტატების ამ გზაზედ დადგომა, მოულოდნელი იყო ევროპის სახელმწიფოებისათვის და ყველამ ყურები აცქვიტა. ამიტომ საკვირველიც არ არის, რომ ყველას ხელს უწყობს ეხლა შეერთებულ შტატებს და მეგობრობას უცხადებს, მაგრამ იგი, კარგად იცის რა თავისი ძლიერება, ჯერ-ჯერობით ყველას მადლობას ეუბნება და უპირატესობას არც ერთს იმათგანს არ აძლევს.

ევროპის დიდ სახელმწიფოთა შორის ახალის ადგილების დაპყრობით ინგლისმა ისახელა თავი. რაც ამ სახელმწიფომ ეგვიპტეში ფეხი მოიკიდა, მუდამ სამხრეთისაკენ ეჭირა თვალი და მისი გულითადი წადილი იყო, ქაიროდგან მოყოლებული კაპშტატამდე მთელი ქვეყნები ხელთ ეგდო და ერთი დიდი იმპერია დაეარსებინა აფრიკაში, როგორც აზიაში ინდოეთი აქვს. ამისათვის იგი შემთხვევას არ ჰკარგავდა, თანდათან სამხრეთისაკენ წაიწია ჯარი ნილოსის ხეობაზედ. მაგრამ წინ იმ მიწა-წყლის მკვიდრნი ელობებოდნენ და ხშირად კიდეც ამარცხებდნენ ბრძოლაში. ინგლისი თავისას მაინც არ იშლიდა, როცა ცოტაოდენ მოხერხებულ დროს ჰნახავდა, ისევე წასწევდა ხოლმე ჯარებს წინ. შარშან განხორციელდა მისი სურვილი სავსებით თუ არა, რამდენიმედ მაინც: ინგლის-ეგვიპტის მთავარ-სარდალმა კიტჩენერმა დერვიშები სასტიკად დაამარცხა ომდურმანთან და მთელი სუდანი ეგვიპტეს შეუერთა.

ინგლისი იმდენად გაიტაცა აფრიკაში ახალ ადგილების დაპყრობის სურვილმა, რომ კინაღამ ომი მოუხდა საფრანგეთთან. ამ სახელმწიფოსაც აქვს დიდძალი ადგილები შუა აფრიკაში, მაგრამ რადგან ეს ადგილები ერთობ არის მოწყვეტილი სხვა ქვეყნებს ხეირიან გზების უქონლობის გამო, ამიტომ საფრანგეთმა თეთრს ნილოსზედ ერთი პატარა სოფელი, ფაშოდა, დაიჭირა, რომელიც ბარ-ელ-გაზელის ხეობიდგან საფრანგეთის უგანდას ნილოსისაკენ და შემდეგ ხმელთა შუა ზღვისაკენ გზას უხსნიდა. ინგლისი წაედავა საფრანგეთს, რომ შენ უფლება არ გქონდა ამ ადგილის დაჭერისა, ის მე უნდა მეკუთვნოდეს და არა შენ, და ამიტომ უნდა დასცალო იგიო. საბუთად ის მოჰყავდა ინგლისს, რომ ოდესღაც ეგვიპტეს სუდანი ეკუთვნოდა და სუდანის ფაშოდა, და ეხლა რადგან ეგვიპტე ჩემი და სუდანიც დავიმორჩილე, მაშასადამე, ფაშოდაც ჩემი უნდა იყოსო. რაღა თქმა უნდა, საფრანგეთს ასეთის საბუთებისა არა სწამდა-რა, მაგრამ რადგან ინგლისმა მარტო სიტყვა არ აკმარა და სამხედრო ფლოტიც გამოიყვანა საბრძოლველად, საფრანგეთი, როგორც უფრო უძლური ზღვაში თავისს მოწინააღმდეგესთან შედარებით, იძულებული გახდა ფაშოდა დაეცალა, რომელშიაც შემდეგ ინგლისმა ჩააყენა თავისი ჯარი.

საფრანგეთი ასე და ამ რიგად სირცხვილ-ნაჭამი დარჩა ფაშოდის გამო. დიდ სახელმწიფოს არ შეჰფერის სხვისის მუქარისა შეეშინდეს და ამიტომ რომელიმე დაპყრობილ ადგილს თავი მიანებოს, მაგრამ, როგორც სჩანს, არავისგან მოელოდა შველას საფრანგეთი და ამიტომ დაემორჩილა მძლავრ მეზობლის ბრძანებას. საკვირველიც ა[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის, რომ საფრანგეთი ძლიერ გულნატკენი დარჩა ინგლისზედ და სამაგიეროს გარდახდისათვის წარსულის დავიწყება არჩია და გერმანიასთან დაახლოვება. ჯერ კიდევ მაშინვე ჩამოაგდეს ლაპარაკი ზოგიერთმა გაზეთებმა გერმანიასთან დაახლოების შესახებ და, როგორც ეტყობა, ეს აზრი ბევრს მოსწონს საფრანგეთში. გერმანიის მთავრობაც ხელს უწყობს იმ სურვილის განხორციელებას და ერთს შემთხვევასაც არ ჰკარგავს საფრანგეთს დაუმტკიცოს, რა დიდი სარგებლობა მოელის ორსავე მხარეს, თუ ერთმანეთს დაუკავშირდნენ. ამ ბოლოს ხანებში მაინც ხომ იშვიათად გაიგონებს კაცი ერთი მეორის ლანძღვა-გინებას გერმანიასა და საფრანგეთის ჟურნალ-გაზეთების მხრივ, ხოლო ერთმანეთის ტკბილად მოხსენიება-კი ხშირს მოვლენად გარდაიქცა. ორსავე სახელმწიფოს მთავრობაც ტკბილად უღიმიან ერთმანეთს. ამ დღეებში განსაკუთრებული დეპეშა გაუგზავნა საფრანგეთის პრეზიდენტმა გერმანიის იმპერატორს, მაგრამ რა მინდობილებით, ეს კი არავინ იცის; იმპერატორი ვილჰელმი სადარბაზოდ მივიდა საფრანგეთის ელჩთან ბერლინში და მთელი ერთი საათი ელაპარაკა, მაგრამ რის შესახებ, კიდევ არავინ არ იცის. უეჭველია ეს იმის მომასწავებელი ნიშანია, რომ გუშინდელი მოსისხლე მტრები იქნება ხვალ საუკეთესო მეგობრები გახდნენ ერთმანეთისა.

გარედ დამცირებასთან ერთად შინაური საქმებიც აწუხა საფრანგეთს. ოთხის წლის წინად გასამართლებულ დრეიფუსის საქმემ შარშან ისევ ამოჰყო თავი და რადიკალ სამინისტროს მეთაური ბრისონი იძულებული გახდა, ეს საქმე ხელ ახლად გამოსაძიებლად გარდაეცა საკასაციო პალატისათვის. პალატას ჯერ არ გაუთავებია ამ საქმის საგნებით გამოძიება; ამბობენ, რომ ჩქარა გამოიძიებს და ამ იანვრის დამლევისათვის თავისს განჩინებას დაადგენსო. მაგრამ არავინ არ იცის, როგორი იქმნება ეს განაჩენი, ე. ი. დრეიფუსს უდანაშაულოდ იცნობს და განთავისუფლებს, თუ 1894 წლისამებრ სასჯელს დაუდგენს. ამ საკითხის გამო დრტვინავს მთელი საფრანგეთი; იგი ორ დიდ ბანაკად არის გაყოფილი—დრეიფუსის მომხრეებად და მოწინააღმდეგედ, და ორივე მოუთმენლად მოელის საქმის ისე დაბოლოებას, როგორც თითოეულსა სურს. საკვირველია, რომ ამ საქმეში საფრანგეთის მეცნიერნი და მწერალნიც ჩაერივნენ და ისინიც ორ ბანაკად არიან გაყოფილნი. უეჭველია ამას ისიც ზედ დაერთო, რომ ამ დღეებში კუნძულ მადაგასკარის გამოც აუტეხა ინგლისმა დავა საფრანგეთს და არავინ იცის, რითი გათავდება ეს დავა. ამ რიგად წასული წელი ვერ იყო ბედნიერი საფრანგეთის რესპუბლიკისათვის და ბევრნაირად გულ-ნატკენი მიეგება ახალს წელს, რომელიც ვინ იცის, კარგს რასმეს მოუტანს, თუ არა.

საფრანგეთზედ არა ნაკლებ აქვს აწეწილი შინაური საქმეები ავსტრო-უნგრეთს. როგორც ვიცით, ეს სახელმწიფო ერთობ მრავალ-ფეროვანია, იმისდა მიხედვით, რამდენი ერიც ასახლია შიგ. წინად ყველა ერს გერმანელები ჰბატონობდნენ და ისინიც მოთმინებით იტანდნენ ამ ბატონობას. მაგრამ შემდეგ ყველას თვით ცნობიერება აღეძრა და ყველამ ესა თუ ის უფლება მოითხოვა. ყველაზედ ადრე (1866 წ.) უნგრეთმა მოიპოვა სრული თავისუფლება და 1867 წელს იმასა და ავსტრიის შორის კავშირი დადო, რომლის ძალითაც ორსავე მხარეს ერთი იმპერატორი უნდა ჰყოლოდა და იმპერიისავის საერთო ხარჯი უნდა გაეღოთ. წარსულს წელში ამ კავშირს ვადა გაუვიდა და ისევ უნდა განეახლებინათ, მაგრამ ვენის პარლამენტშიაც და პეშტისაშიც რამდენიმე დეპუტატი ამის წინააღმდეგი გახდნენ და პარლამენტებს ყოველივე ღონისძიება მოუსპეს კავშირის განახლებისა. გარდა ამისა, ავსტრიაში რამდენიმე უფლებას აქვს მინიჭებული ჩეხებს ენის თავისუფლების მხრივ, მაგრამ ამას არ ჰკმარობენ და კიდევ მეტს უფლებებს თხოულობენ, ხოლო გერმანელ დეპუტატების ერთი ნაწილი თავისს მხრივ თხოულობს, რომ რა უფლებაც აქვთ ჩეხებს მინიჭებული ენის მხრივ, ისიც ჩამოერთვასო. ერთი სიტყვით, ავსტრო-უნგრეთის პარლამენტებმა ვერ გამოიჩინეს ნიჭი რისამე გაკეთებისა, რისთვისაც კონსტიტუციის მე-14 მუხლის ძალით ისინი დათხოვნილი იქმნენ, ასე რომ ხარჯთ-აღრიცხვაც კი არ დარჩა განხილული და მთავრობამ უპარლამენტოდ უნდა განაგოს ქვეყანა და გარდასახადი მოაგროვოს პარლამენტის ნებაა დაურთველად. შინაურ საქმეების ასე აწეწ-დაწეწვით აიხსნება, რომ ავსტრო-უნგრეთს წარსულს წელში თითქმის არავითარი მონაწილეობა არ მიუღია გარეშე საქმეებში.

იტალიის ცხოვრებაში შესამჩნევი ცვლილება მოხდა წარსულს წელში. ამდენის ხნის სამდურავის შემდეგ, როგორც იქმნა, მოურიგდა საფრანგეთს და სავაჭრო ხელშეკრულობა შეეკრა. ეს გარემოება ხელს მოუმართავს იტალიას და ცოტაოდნად წელში გამართავს. გერმანიასთან და ავსტრო-უნგრეთთან დაკავშირების შემდეგ იტალიას სასტიკი ეკონომიური ბრძოლა დაუწყო საფრანგეთმა. ცალკე ამის გამო და ცალკე იმისა, რომ მოკავშირენი ძალას ატანდნენ მხედრობა გაემლიერებინა, იტალია საშინლად გაღატაკდა, რასაც ისიც ზედ დაერთო, რომ აბაშეთთან ომი წააგო და ყოველ მხრივ დაქვეითებულ შეიქნა. ბევრი კარგი მამულიშვილი ურჩევდა მთავრობას საფრანგეთთან დამეგობრებას, მაგრამ ამ ბოლო ხანამდე ეს არ მოხერხდა და ეხლა კი მთელი ერის სასიხარულოდ პელუს სამინისტრომ განახორციელა ეს აზრი. იტალია ისევე სამთა კავშირში დარჩა, მაგრამ უფრო გარეგნად; სულითა და გულით კი იგი ამ კავშირს აღარ ეკუთვნის ეხლა, რადგან იმისაგან ზარალის მეტი, სარგებლობა არა უნახავს-რა.

გერმანიამ ძლიერ გაიწოდა ხელი წარსულს წელში ოსმალეთისაკენ და, ვინ იცის, იქნება ინგლისის ადგილიც დაიჭიროს იქ. როგორც ვიცით, კიდევ წარსულ საუკუნიდგანვე ინგლისი იყო ოსმალეთის ძალად მეგობარი, რომლის დაუკითხავად იგი ფეხსაც არ გადასდგამდა ხოლმე. მაგრამ სომხების არეულობის დროს ინგლისმა ძლიერ აწყენინა ოსმალეთს, რითაც ყველაზედ უფრო ისარგებლა გერმანიამ. ამ უკანასკნელმა პირველად გაუწოდა სამეგობროდ ხელი ყველასაგან მოძულებულს ოსმალეთს და, რაც თქმა უნდა, იმანაც მაგრად ჩამოართვა ეს გაწვდენილი ხელი. შემდეგ თითონ იმპერატორმა ვილჰელმმა მოიარა მოგზაურობა ოსმალეთში და ამით კიდევ უფრო განამტკიცა კავშირი ხონთქართან. პირველად გერმანიაშიაც-კი ბევრი დასცინოდა იმპერატორს ამ მოგზაურობისთვის, მაგრამ ეხლა ყველა აშკარად ჰხედავს, რა დიდი სარგებლობა მოუტანა გერმანიას ამ მოგზაურობამ.

ცუდი გავლენა მოახდინა მთელს ევროპაში იმ გარემოებამ, რომ პრუსიის მთავრობამ პრუსიიდგან გაამევა ავსტრიისა და დანიის ქვეშევრდომნი. პრუსიის ასეთმა საქციელმა ხმა ამოაღებინა მისს უერ-მოჭრილს ყმასა და მეგობარს ავსტრიას, რომელიც დაემუქრა, რომ სამაგიეროს გარდავიხდიო. დანიამ და საერთოდ სკანდინავიის სახელმწიფოებმა უკვე დიდი ზომები მიიღეს გერმანიის წინააღმდეგ. იქ სამაგიეროს გარდახდა მოიწადინეს იმითი, რომ გერმანიიდგან აღარ გამოიწერეს საქონელი და ამ რიგად შესამჩნევი ზარალი მისცეს გერმანიის მექარხნეებს და ვაჭრებს.

საუკეთესო მოვლენად მთელს ევროპაში ის ჩაითვლება, რომ ამდენი ხნის ბრძოლის შემდეგ კრიტის კუნძული თავისუფლებას ეღირსა. მარტო ოთხმა დიდმა სახელმწიფომ — საფრანგეთმა, რუსეთმა, ინგლისმა და იტალიამ — იკისრა ეს საქმე: გერმანია და ავსტრო-უნგრეთი განზედ გადგნენ და სხვა დიდ სახელმწიფოებს არ მიემხრნენ. ამ ნაირად საბერძნეთი თუმცა დამარცხდა ოსმალეთთან ომში, მაგრამ საწადელი მაინც აუსრულდა. კარგი კიდევ ის არის, რომ კრიტის გენერალ-გუბერნატორად საბერძნეთის ბატონიშვილი გიორგი იქმნა არჩეული და ეს კიდევ უფრო აორკეცებს ელინთა სიხარულს. მართალია, ხონთქრის უზენაესი უფლება დატოვებულია კუნძულზედ, მაგრამ ფორმალურად, როგორც ბოლგარიაში, ნამდვილად კი ოსმალეთი ხელს ვეღარ ახლებს იმას და, დღეს თუ არა, ხვალ ამ გარეგნულ უფლებასაც, მოკლებულ იქმნება.

აზიის აღმოსავლეთში ჩინეთმა იგივე ადგილი დაიჭირა, რაც ევროპასა და მცირე აზიაში ოსმალეთმა. ჩინეთსაც ეხლა ისე უყურებენ ევროპიელები, როგორც ოსმალეთს, მაგრამ ევროპის ყველა დიდ სახელმწიფოს უნდა თითონ ბევრი ირგუნოს და სხვებმა არაფერი და ასეთის ცილობის წყალობით შეიძლება ჩინეთმა კიდევ იცოცხლოს რამდენსამე ხანს.

პირველად პატარა იაპონიამ შეხლთა ეს ბუმბერაზი და იმის წაბაძულობით გერმანიაც შეეხო და შემდეგ რუსეთი და ინგლისი. უეჭველის ამ უბედურების მიზეზად ჩინეთის იმპერატორმა სრულიად საფუძვლიანად ხალხის გაუნათლებლობა და სახელმწიფოს წესწყობილება დასახა. ამის გამო მან განიზრახა მრავალის ცვლილების შემოღება და კიდეც შეუდგა ამ განზრახვის განხორციელებას. მაგრამ ეს საქმე არ მოეწონათ ძველ წეს რიგის მომხრეთ, მომეტებულ ნაწილად დიდკაცობას, და იმპერატორი ტახტიდგან გადააყენეს, რომლის ადგილას აყვანილ იქმნა ქვრივი დედოფალი ჩინეთისა, გადაყენებულ იმპერატორის დედობილი....

## ქართველ „მოვიზიტეს“ შემოწირულება

(წერილი რედაქციის მიმართ)

„ივერიის“ მე-273 №-ში დაბეჭდილ ბ-ნ ია... ფა—ლის წერილის წაკითხვამ და „ჩიორას“ ფელეტონმა გამახსენა, ქართველთა მოვალეობა საზოგადო საქმისა მიმართ და თვალ წინ დამიხატა ჩვენი საზოგადოების შეუგნებელი და ფუქსავატ-უმნიშვნელო ხარჯვა-ფლანგვა დღესასწაულებში.

ქართველთ მტკიცედა სწამთ ანდაზა „ჩვეულება რჯულთ უმტკიცესიაო“ და დაბეჯითებით გაიძახიან „როგორც ჩვენს მამა-პაპას უცხოვრიათ, ჩვენც ისე უნდა ვიცხოვროვთო“. იმდენი-კი ველარ შეგვიგნია, რომ „ჩვენებურად-ძველებურად“ ცხოვრება აღარ გამოგვადგება და მიგვიყვანს იმ უფსკრულამდის, რომლიდანაც ამოსვლა გაგვიძნელდება და შემდეგ „თითზე კბენანი“ უდროოვო იქნება.

მაშ ვეცადოთ, რომ ეხლავე მოვუაროთ ჩვენს თავს ისე, როგორც მოგვევლება. დავანებოთ თავი ფუქსავატად ფულის ხარჯვას და მივეშველოთ ჩვენის წვლილით ყოველს სასიკეთო საზოგადო საქმეს, რაც ბევრი მოგვეპოვება და დიდს დახმარებასაც თხოულობს. მეც ჩემის შეძლებისამებრ ვგზავნი 3 მან. საერო მუზეის თანხის სასარგებლოდ, რადგან ამ დაწესებულებას დიდათ სასარგებლოდ ვთვლი ჩვენთვის და ამითი თავიდან ვიცილებ საახალწლო სადარბაზოდ სიარულს *)

თეოფილე გვენცაძე

სადგ. ქიურდამირი

## დამაკვირდი

ადამიანისათვის ცუდად მოხმარებული დრო არსებობაა, კარგად მოხმარებული—სიცოცხლე.

ვუნგი

* * *

დრო-ჟამი ცხოვრებით მოყირჭებული ბებრუხუნაა.

მენცელი

* * *

„ცუდი დრო“-აო, როდესაც ამბობენ, დროს—კი არ აძაგებენ, არამედ ხალხს.

საფირის ლექსიკ.

## გასართობი

(საახალწლოდ)

— პეტრე კიდევ დამთვრალხარ?

— დამთვრალხაროო?.. საიდგან დამთვრალვარ, არა რითი მატყობთ სიმთვრალეს?

— იმითი რომ სწორედ ვერ დამდგარხარ.

— ეგ იმიტომ მომდის, რომ მარჯვენა ჯიბეში გასაღებები მიწყვია და მარცხენა-კი ცალიერი მაქვს, რკინა მძლევს ცალს მხარეს.

* * *

— დედი, დედი, ერთი მითხარ, თუ ღმერთი გრწამს, ხარაზი ლალუა სადა დგას?

— დედა შენა და ბნედა! რაო, მასხარად მიგდებ, ხარაზი ლალუა ხომ შენა ხარ?..

— ვიცი, რომ მე ვარ, მაგრამ სახლი სადა მაქვს აღარ მახსოვს.

* * *

ცოლი. გრცხვენოდეს, შობას აქეთია ყოველ ღამე ნასვამი მოდიხარ სახლში,..

ქმარი. მე-კი არა, შენა გრცხვენოდეს, რომ ნასვამს კაცს ღამე არ ასვენებ და ჩხუბს უტეხავ!...

* * *

— ჩემი სიყვარული, მშვენიერო ელენე, აი, ამ ბეჭედსა ჰგავს, ამასავით რგვალია და დასასრული არა აქვს.

— ჩემი სიყვარულიც მაგ ბეჭედსა ჰგავს.. დასაწყისი არა აქვს.

* * *

— მითხარ ერთი, დღე როდის ისვენებ?

— ჩვეულებრივ, სადილს შემდეგა სძინავს.

— როგორ თუ სძინავს?.. ვისა?.,

— ჩემს ცოლს...

— მე ცოლისას-კი, შენს ამბავს გკითხავ.

— ჰო-და მეც მაშინ ვისვენებ რაღა, როცა ჩემ ცოლსა სძინავს.

* * *

— ავეტიქ, გაიგე, კაცო?!. ი ემე, ჩვენს კნიაზს, რევოლვერი უსროლია თავისი თავისათვის.

— ვა, ინჩეს ასუმ!? იმას ხომ ჩემი სამასი თუმანი ჰმართებს. ახ არ, ეგ რა ნამუსია, თავისს თავს რევოლვერს ესვრის და მე-კი მკლავს?!..

# დეპეშა

30 დეკემბერი.

**ვაშინგტონი.** სენატის კრების დროს სენატორმა გორმა სიტყვა წარმოსთქვა გაფართოების პოლიტიკის წინააღმდეგ. მთავრობას—სთქვა გორმა,—კონსტიტუციის ძალით ნება არ აქვს შეიძინოს სხვისი მიწა-წყალი და განაგოს უცხო ხალხი. ყოველ შემთხვევაში ნება არა აქვს ამ ხალხის დაუკითხავად განაგოს იგი. მე წინააღმდეგი ვიქმნები სამშვიდობო ხელშეკრულების დამტკიცებისა. მონროეს დოქტრინას მნიშვნელობა დაეკარგება, ყველა ხალხს, ევროპის სახელმწიფოთ მაშინ ნება ექმნებათ შეიძინონ მიწები ამერიკაში, თუ შეერთებული შტატები სხვა ხმელეთზედ შეიძენენ მიწებს. გორის სიტყვამ დიდად იმოქმედა დამსწრეებზედ.

**პარიჟი.** საკასაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის თავმჯდომარედ, ბორეპერის ნაცვლად, რომლის თანამდებობიდგან გადადგომის თხოვნაც შეწყნარებულ იქმნა, დანიშნულ იქმნა საკასაციო სასამართლოს წევრი ბალლო.

ლებრემ განაცხადა, რომ მაზო ითავმჯდომარებს სისხლის სამართლის პალატაში დრეიფუსის საქმის გამოკამათის დროს. მაზო თვით დანიშნავს საქმის მომხსენებელს.

**პარიჟი.** პალატა. დეშანელ არჩეულ იქმნა პრეზიდენტად 323 ხმის უმეტესობით 187 ხმის წინააღმდეგ, რომელიც ბრისონს ამოუვიდა.

**პარიჟი.** „Echo de paris“-ში დაბეჭდილია ჩვენება, რომელიც ბორეპერს ჩამოართვა მაზომ, ჩვენებიდგან აშკარავდება, რომ სიტყვები: „ჩემო კეთილო პიკარო“, რომლის წარმოთქმასაც ბარდს აწერდნენ, არ წარმოთქმულა. ბარდმა მხოლოდ სთქვა: „მე-კი მგონია, რომ პატიმარი აქ არის“-ო. ჩვენების ბოლოში ბორეპერი სცდილობს დაამტკიცოს, რა ცუდი გავლენა იქონია სასამართლოზედ სისხლის სამართლის პალატის ზოგიერთთა წევრთა პიკართან მეტად გულ-კეთილად მოკიდება. ბორეპერმა სთქვა, [illegible] გამოძიებულ უნდა იქმნას ზოგიერთა გარემოება, რომელთა არსებობა უნდა დაედოს ბრალად სისხლის სამართლის პალატის ზოგიერთა წევრებსაო.

**ბერლინი.** „Berliner Tageblatt“-ი სწერს: სადიპლომატო წრეებში დიდს მნიშვნელობას აწერენ იმპერატორის საფრანგეთის ელჩთან სადარბაზოდ მისვლას. ამბობენ, რომ ამ დარბაზობას კავშირი აქვს მადაგასკარის გამოთ. ინგლისსა და საფრანგეთს შორის გამოწვეულ გამწვავებულ მდგომარეობასთანაო.

გერმანიის მცოდნე კაცთა წრეებში-კი დაბეჯითებით გაიძახიან, რომ „Berliner Tageblatt“-ის მიერ ნაუწყები ცნობა ოცნების ნაყოფიაო.

31 დეკემბერი

**პარიჟი.** დაბეჭდილ იქმნა ბორეპერის მეორე წერილი. შიგ აღნიშნულია ახალი საბუთები, რომლებზედაც უნდა დამყარდეს ახალი გამოძიება. საზოგადოება თხოულობს, რომ ხელ-შეუხებელი დარჩეს დადგენილება სამხედრო სასამართლოსი, მსაჯულთა პირმოთნეობაში არ იქმნებიან დარწმუნებულნი და კონონიერობა არ იქმნება დაცული. დრეიფუსის მომხრენი თითონ აღიარებენ, ისეთნი მსაჯულნი გვსურს, რომელთა პირუთვნელობა ეჭვს გარეშე უნდა იყოსო; ამიტომ საჭიროა, სამოსამართლო პალატის 15

*) მივიღეთ ეს სამი მან. და დანიშნულებისამებრ გარდავეცით. რედ.

ვრის ნაცვლად იყოს 49 მსაჯული, ი. მთელი საკასაციო პალატა. უ დრეიფუსის მომხრენი ამაზე უარს ჯყვიან, ეს იმას შეედრება, რომ რეიფუსის დანაშაულს აღიარებენ. ორეპერი სთხოვს ლებრეს, გამოძია უფრო ვრცლად მოხდესო და ავებს გადაეცესოაო.

**ლონდონი.** შეიარაღების შემცი-ებ'ის შესახებ მანიფესტის გავრცე-ლების მოთავეთ მიიღეს ეპისტოლე შეერთებულ შტატების ხაზინის მდივნისაგან, რომელიც აცხადებს, რომ შეერთებული შტატები სიამოვნებით იემხრობა ყველა დიდ სახელმწიფოთა მიერ განცხადებულ სურვილს შეიარაღების შემცირებისას.

**მადრიდი.** მეამბოხეთ თავი მოიყარეს მანილიის მიდამოებში და განხრახვა აქვთ ქალაქს დაეცნენ. ამერიკელები გულ მოდგინედ ემზადებიან მტრის მოსაგერებლად.

**მასსოვა.** იმ ბრძოლას, რომელიც მოხდა მაკონენისა და მანგაშის ჯარებს შორის, მნიშვნელობა არა აქვს: ორსავე მხრიდგან მხოლოდ რამდენიმე კაცია მოკლული და დაჭრილი.

---

## წერილები რედაქციის მიმართ

ამ სამის თვის წინად მე გამოვეცი სახალხო წიგნაკი **„ხხივი წარსულისა“**, რომლის ყდაზედ დაბეჭდილი იყო: „ამ წიგნაკის წმინდა შემოსავალი მიემატება იმ ფულს, რომელიც იკრიბება მცხეთის სვეტის ცხოვლის ტაძრის განსაახლებლად“. წიგნაკი დაიბეჭდა ორიათას ოთხასი ცალი (2400). ფასი დაედო შაური. თითო ცალის გამოცემა დაჯდა ორი კაპეიკი. ორი კაპეიკიც წიგნაკზედ დაეთმოთ იმ საწიგნო მაღაზიებს, რომელთაც ნარდად იყიდეს მთელი გამოცემა. დარჩა თითო წიგნაკიდგან წმინდა მოგება ერთი კაპეიკი, რაც მთელის გამოცემისას შეადგენს ოც და ოთხს მანეთსა. ეს ფული უკვე გაეგზავნა ყოვლად-სამღვდელო ლეონიდს მოსახმარებლად დანიშნულებისამებრ.

ი. გოგებაშვილი

—

უმორჩილესად გთხოვთ მიიღოთ ჩემ მიერ ჯავახეთში შეკრებილი 41 მანეთი ღვაწლმოსილის მეფის ირაკლის ფონდის გასაძლიერებლად, იმ ფონდისა, რომლითაც უნდა გამოიზარდონ საზღვარ-გარეთ სწავლის განგრძობის მსურველნი ნიჭიერნი ქართველნი, ღარიბნი ახალგაზდანი.

სია შემომწირველთა:

პეტრე ყირხჯესალოვმა—3 მ., გიორგი მურჯიკნელმა—1 მ., გიგო შატბერაშვილმა—1 მ., კონდრატი ნინიკაშვილმა—2 მ., სვიმონ თულაშვილმა—2 მ., გრიგოლ მორთულაძემ—1 მ., ივანე ჯავახიშვილმა—3 მ., ნიკო ჯავახიშვილმა—2 მ., ჰამაიაკ აღეკიანმა—1 მ., ალექსანდრე ალხაზიშვილმა—1 მ., ვლადიმერ წერეთელმა—3 მან., დათიკო ენუქიძემ—2 მან., ვასილ კოპტონაშვილმა—1 მ., ელიშე ბასთურმაჯიმ—3 მ., იოსებ ჩიტაძემ—5 მ., ილია ალხაზიშვილმა—10 მანეთი. სულ 41 მანეთი.

ამასთანავე არ მოუცია განსვენებულს გენერალს ალექსანდრე ივანეს ძე მუსხელაშვილს ხუთი თუმანი (50 მ.), რომელმაც სიცოცხლის დროს ვერ მოასწრო ამ ფულის მოცემა, ხოლო მისმა მემკვიდრეებმა აღგვითქვეს უეჭველად გარდახდა ამ ფულისა განსვენებულის სულის საოხად. ჩემის მხრივ უმორჩილესად ვთხოვ განსვენებულის მემკვიდრეებს ხსენებული შეწირული ფული გამოუგზავნონ „ივერიის“ რედაქციას. არ შემოუტანიათ ჯერ აგრეთვე: კოტე ბარნოვს—2 მანეთი და პეტო ნაცვლიშვილს—3 მანეთი, ამათაც ვთხოვ ფული იქავე გაჰგზავნონ *).

ილია ალხაზიშვილი

*) 41 მან. მიიღო რედაქციამ და დანიშნულებისამებრ გაჰგზავნა.

# განცხადებანი


## ქართული თეატრი

შაბათს, 2 იანვარს,

ქართულის თეატრის დაფუძნების სახსოვრად

წარმოდგენილი იქმნება პირველად განახლების შემდეგ:

I

**დავა**

კომედ. 5 მოქმედ., თხზ. თავ. გ. ერისთავისა

II

**სამზადისი**

სცენები ქართული თეატრის დაფუძნების დროისა., თხზ. ვ. უმიკაშვილისა.

დასასრულ

**აპოთეოზი**

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

რეჟისორნი **ვ. აბაშიძე** და **კ. მესხი.**

---

ოთხშაბათს, 6 იანვარს 1899 წელს, ტფილისის **„კრუჟოკის“** დარბაზში გამართული იქმნება

**ბალი**

ტფილისის სათავად აზნაურო სკოლის სასარგებლოდ.

**ბილეთების ფასი 2 მან. 10 კ.**

დასაწყისი საღამოს 9 საათზედ.

ქალებისათვის გულ-ამოჭრილი კაბა სავალდებულო არ არის, სამხედრო წოდების კაცთათვის ჩვეულებრივი ტანისამოსი, დანარჩენებისათვის ფრაკი.

ბილეთები ისყიდება „კრუჟოკის“ შვეიცართან. (5—5)

---

## მოგზაურთა საყურადღებოდ!

მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ ქ. **ბათომში** შევისყიდეთ უკვე არსებული სასტუმრო

**„ლონდონი“,**

რომელშიაც 20 ოთახია—1 მანეთიდან ვიდრე 3 მან. დღე და ღამეში. სასტუმროს აქვს საკმაოდ სუფთად მოწყობილი სასადილო კაბინეთით და გამთდება როგორც **ევროპიული,** ისე **ჩვენებური საჭმელები.** ინდაურის საცივე, ხარჩო ღომით და დოში თითქმის ყოველდღე გვაქვს. ტფილისიდან ვიწერ „კახელ მევენახეთა ამხანაგობის“ და მუხრან-ბატონის ღვინოებს და იმავე ფასად ვყიდით, როგორც ტფილისის სასტუმროებში ჰყიდიან. ყოველსავე საგანს დაწესებული ფასი აძევს, მხოლოდ ნაცნობთათვის დავადგინეთ საგრძნობელი შეღავათით მიცემა.

საჭიროდ არა ვრაცხთ დავპირდეთ საზოგადოებას, რომ სასტუმროში არის სისუფთავე ახალი სანოვაგე, ზრდილი და მარდი მოსამსახურენი და არა ჩვეულებრივი იაფობა, რადგანაც პირველი ისედაც სავალდებულოა ჩვენთვის და იაფობას კიდევ პირდაპირი კავშირი აქვს როგორც ბაზართან, სადაც ჩვენც ვყიდულობთ, ისე ყოველდღიურ სავალდებულო ხარჯთან. მაინც-კი ყოველს ღონეს ვიღონებთ, რომ სასტუმროს ოჯახური ხასიათი ჰქონდეს.

პატივისცემით დავშთები სასტუმროს პატრონი **ალექსანდრე თოიძე.**

(3—6.—2)

---

## ექიმი ი. ია. გოკიელოვი

მიიღებს სპეციალურად ვენერიულ (სიფილისი), საშარდეს, კანის და შინაგან სნეულობით ავადმყოფთ ყოველ დღე, დილით 9—12 საათ., საღამოთი 5—7 საათ.

კერძოდ შინაგან და კანით ავადმყოფებს შუადღის 12—1 საათამდე.

აქვე შეიძლება ქიმიურად და მიკროსკოპიულად განხილვა ნახველისა, შარდისა, სისხლის და გადამდების ავადმყოფობისა და სხვა.

განოვის ქუჩა, სახლი № 31, მარქაროვისა, სოლოლაკი. (20—185—17.

---

## იყიდება იაფად და პირიანად

სხვა და-სხვა საგალანტერეინო საქონელი: ქოლგები, ხელთათმანები, მარაოები, ლენტები, არშიები, ჩულქები, კორსეტები, პირ ბადეები და ქალისა და კაცის სხვა სამკაული

**შკაფი № 21.**

თამამშევის ქარვასლაში, ფორაქოვის მაღაზიის პირდაპირ.

ყველა საქონელი კარგის ღირსებისაა.

(20—6.—6) ი. ნიკოლაშვილი

---

## დიდი იაფობა

იაპონიის, ჩინეთის და კავკასიის საუცხოვო და ორიგინალ საქონლისა.

**იყიდება:** უმკირფასესი საჩუქრები **დღესასწაულებში მისართმევად, ოთახების მოსართავად,** საწერლო მაგიდებისა, კუთხეებ ს და კედლების შესამკობად და სხვანი.

აქვე **ისყიდება მრავალგვარი აბრეშუმეულობა ფანზა ჩინეთისა** (თეთრეულებისათვის).

**ისყიდება აგრეთვე შეკერილი ხალათები. ჟუჟები და სხვა.**

დვორის-მელიქოვის ქუჩა, ზუბალოვის სახლი, სემინარიის პირდაპირ,

**იოსებ მერკვილაძის მაღაზიაში.**

(—6.—10)

---

დაიბეჭდა და ისყიდება

**ახალი ქართული წიგნი**

## სიტყვიერების თეორია

სალიტერატურო ნიმუშების კრებულით ანუ ქრისტომატიით, რომელიც ორ-ნაწილად არის შედგარი.

წიგნი დანიშნულია სახელმძღვანელოდ და სახმარებლად სათავად-აზნაურო სკოლებისა, სასულიერო სასწავლებლებისა, საოსტატო და სამართლ-მადიდებლო სემინარიებისა და დედათა საეპარქიო სკოლებისათვის.

შედგენილია კირიონ ალავერდის ეპისკოპოსისა და გრიგოლ ყიფშიძის მიერ.

მოკლე შინაარსი სიტყვიერების თეორიისა: წინასიტყვაობა.—შესავალი.—თეორია ენისა ანუ სტილისტიკა.—პროზა ანუ თეორია პროზისა.—თეორია პოეზიისა.—პოეზია საეპიკო და სალირიკო.—სადრამო პოეზია.

მოკლე შინაარსი სალიტერატურო ნიმუშების კრებულისა: ნაწილი I. აღწერანი მარტივნი და მხატრობითნი.—მგზავრის წერილები.—მოთხრობითნი თხზულებანი, ბიოგრაფია და დახასიათებანი.—მსჯელობითნი თხზულებანი.—საორატორო პროზა: მჭევრმეტყველება საპოლიტიკო, სახოტბო და სასულიერო.

ნაწილი II. საეპიკო პოეზია.—საერო ეპოსი.—ესკიზი, ამბავი და მოთხრობა.—იდილიები, იგავ-არაკნი და ბალადები.—სალირიკო პოეზია: სატირა, ოდა, ელეგია, სალირიკო ლექსნი, ლექსნი, დაწერილნი საერო კილოზედ, ხალხურნი ლექსნი, ჰიმნი, მადრიგალი, ეპიტაფია, ეპიგრამა. (ამ უკანასკნელს განყოფილებაში მოთავსებულია, სხვათა შორის, საუკეთესო სალირიკო ლექსები ჩვენის პოეტებისა).

მთლად წიგნი, ესე იგი სიტყვიერების თეორია და დამატება (ქრისტომატია) ორ ნაწილად, საკმაოდ მოზრდილის ტანისაა და შეიცავს 640 გვერდს ანუ სტამბის 20½ თაბახს და ჰღირს

**ერთი მანათი.**

წიგნის მაღაზიებს და საზოგადოდ ყველას, ვინც ათს ცალზედ ნაკლებს არ იყიდის ნაღდს ფულზედ, 20% დაეთმობა.

საწყობი წიგნისა „წერა-კითხვის საზოგადოების“ მაღაზიაშია. იქვე ისყიდება ახალი ქართული წიგნი

უცხო მწერალთა ამბავნი და მოთხრობანი

თარგ. გრ. ყიფშიძის მიერ.

**ფასი სამი შაური.** (10—4)

---

საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი

## „კვალი“

გამოვა 1899 წელსაც ყოველ კვირაში ერთხელ ერთიდგან სამ თაბახამდე.

იმავე პროგრამით და იმავე თანამშრომლებით, როგორც 1898 წელს.

გაზეთი წლიურათ ღირს გაუგზავნელათ 7 მანეთათ, ხოლო გაგზავნით 8 მანეთ. ნახევარი წლით გაუგზავნელათ 3 მან. 50 კაპ., გაგზავნით 4 მანეთ. სამი თვით გაუგზავნელათ 2 მანეთ., გაგზავნით 2 მ. 50 კ. თითო ნომერი სამ შაურათ. ხელის მომწერლებს წლის ფული შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გამოგზავნონ.

ხელის მოწერა მიიღება თბილისში „წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში“ (Дворцовая ул. д. зем. банка № 101) და თვით „კვალის“ რედაქციაში არტილერიის ქუჩა № 5 კადეტის კორპუსის ახლო.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ редакція „КВАЛИ“ (3—უ.—2)

---

ახლად დაიბეჭდა წიგნი

## ИСТОРІЯ ГРУЗИНСКОЙ ЦЕРКВИ

**Книга I. Обращеніе картвельцевъ.**

ფასი 40 კაპ.

და ისყიდება წ. კითხვისა და ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიებში.

იქვე ისყიდება იმავე ავტორის გამოცემანი:

ა) ისტორ. მართლ მადიდებელ ეკკლესიისა, ფასი 40 კაპ.

ბ) შოთა რუსთაველი, ფასი 40 კ.

გ) სამცხე, ფასი 25 კ.

დ) ქართლი, ფასი 25 კ.

ამათგან წიგნები „ა“ და „ბ“ მთავრობისაგან მოწონებულია სამრევლო სკოლებში სახმარად საკითხავ წიგნებად („одобрены въ качествѣ книгъ для чтенія“), და წიგნები „გ“ და „დ“ სახელ-გაკეთებულია იმავე სკოლების მასწავლებელთათვის. (5—უ.—3)


Дозволено цензурою, Тифлисъ 30 го Декабря 1898 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე